# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 18 ივნისი 2005 №136 (2459) ფასი 50 თეთრი


# მილანის მცველი ქვირია!



კახა კალაძის ლონდონის „ჩელსიში" გადასვლა-არგადასვლის ამბავი ჩემი და ჩემი კოლეგების ვარაუდით ივლისამდე არ გაირკვევა. ვიცით, ქართველი ფეხბურთელი „ჩელსის" პატრონს იმ საღამოს შეხვდა, რომან აბრამოვიჩი შეერთებული შტატებიდან მოსკოვში ხუთი საათის დაბრუნებული რომ იყო. რა თქმა უნდა, აბრამოვიჩმა და კალაძემ „მილან"-„ჩელსის" სატრანსფერო პრობლემებზე ისაუბრეს, მაგრამ, ზუსტად რა ითქვა რუსეთში, ვერ გეტყვით. ის კი ვიცით, რომ „ჩელსიმ" იტალიელებს კალაძის სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა შესთავაზა, თუმც მოგვიანებით ინგლისელები 5 მილიონის გადახდასაც დაყაბულდნენ. ამ თანხაზე „მილანის" პასუხი, „ჩელსის" პრესსამსახურის მიხედვით, ასეთი იყო: „მილანის" მცველი 5 მილიონად არ იყიდება. ჩემთვის უცნობია, რა სტადიაზეა „მილან"-„ჩელსის" მოლაპარაკებები ერნან კრესპოს თაობაზე, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ „ჩელსის" მაინცდამაინც არც კრესპოს დაბრუნება აინტერესებს და არც ესპანეთიდან ასიერ დელ ორნოს გადაბირება. ის პირველ ყოვლისა კახა კალაძის დაპატრონებას ცდილობს. ეს ამბავი „ჩელსის" ქომაგებმაც კარგად იციან. მათ სჯერათ, რომ „ჩელსის" დიდი მწვრთნელი ჰყავს და მას ენდობიან — „სტემფორდ ბრიჯზე" ჯერ კალაძეს ელიან, მერე სხვას, ალბათ უფრო დელ ორნოს.

სადღესიოდ სხვას ვერაფერს დავამატებ, რადგან „ჩელსი" ისვენებს, ოფისი სულ ერთი საათი მუშაობს და ახალი ამბებიც არ ისმის.

**მეტ ჰიუზი**

**„ივნინგ სტანდარტი", საგანგებოდ „სარბიელისთვის" ლონდონიდან**



**ბორისა კრალია!**

**ოლიმპიას ჩემპიონობაში ჯორჯიას ხელიც ურევია**

13

# ქართველები და კიდევ ქართველები

## უფასო ჭიდაობის უქმეები



დღეს თბილისის სპორტის სასახლეში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავებს შორის ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი დაიწყება.

ტურნირი ორ დღეს გასტანს და ვინაიდან დასწრება უფასოა, ორგანიზატორებს მაყურებლისა ეიმედებათ.

ჩვენები თითო ხალიჩაზე 40 ფალავანს გამოიყვანენ, მაგრამ ქართველი მოჭიდავეების საერთო რაოდენობა სპორტის სასახლეში მეტი იქნება. უზბეკებმა თბილისში ორი მოჭიდავე აფრინეს და ორივე ტომით ქართველია, პასპორტით კი უზბეკი. ბერძენთა დელეგაციაშიც ორი მოჭიდავეა და მათგანაც ერთი ქართველია. ცოტანი იქნებიან რუსები. უკრაინელებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს კი გაცილებით დიდი ამქარი გაუმზადებიათ სათბილისოდ.

მეორე მხრივ, ალბათ, დელეგაციათა რაოდენობას დიდი მნიშვნელობა არც აქვს, რადგან მთავარი მიზანი ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაკომპლექტებაა და ვინც დღეს და ხვალ უკეთ გაირჯება, სწორედ ისინი წავლენ სექტემბრის ბოლოს ბუდაპეშტში.

ტურნირის მთავარი მსაჯია თემურ ყაზარაშვილი. ჩვენებურ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს ზაზა თურმანიძე წვრთნის, ბერძენ-რომაელებს — ბეგი დარჩია.

ნარჩევ ქართველთა ცქერა ხომ ფრიადი სანახავი იქნება, მაგრამ უცხოტომელთა ჩამოსვლა ტურნირს დამატებით ინტრიგას სძენს და ამიტომ სპორტის სასახლეში წასვლა და ჩვენებურთა ქომაგობა ნამდვილად ღირს.

**ლადო ფულუკიძე**

# დინამო თურმე იშლებოდა

## კახა ცხადაძე: ჯერ გერმანია, მერე ლიგა

*საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" ახალი სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპი მოილია და დღეს გერმანულ შეკრებაზე გაემგზავრა. თბილისელები რუიტში 29 ივნისამდე დაჰყოფენ და იქაური რეგიონალლიგის გუნდებთან სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. შემდეგ „დინამო" შვეიცარიაში გადაინაცვლებს, სადაც უფრო სერიოზულ მეტოქეებს გაეჯიბრება — „სენტ გალენს", „გრასჰოპერსა" და „შაფჰაუზენს".*

*ჩემპიონებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და უცხოეთში გამგზავრების წინ პრესკონფერენცია გამართეს. გუნდის პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ ჯერ გერმანიაში წამსვლელთა სია ჩამოგვირიგა, მწვრთნელმა კახა ცხადაძემ კი სიახლეებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.*



— მართალია, თბილისის „დინამოს" ათდღიანი შვებულება გამოუვიდა, მაგრამ, ვფიქრობ, პროფესიონალთათვის ესეც საკმარისია. ევროტურნირამდე მოსამზადებლად ხომ სულ ოთხი კვირა გვაქვს. ამიტომაც 10 ივნისს შევიკრიბეთ, ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა. დილაობით აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე ვაკეთებდით. რუიტში გუნდს უკვე ტექნიკურ-ტაქტიკურ დავალებებს მივცემ და შემადგენლობის შეთამაშებაზეც ვიმუშავებთ.

— ხვალინდელი დღე, ფაქტობრივად, დაკარგული გვაქვს. ჯერ ფრანკფურტში ჩავფრინდებით, იქიდან რუიტამდე კი ავტობუსით ვიმგზავრებთ. მზადებას 19 ივნისიდან განვაახლებთ, 21-ში ორმხრივ მატჩს ვითამაშებთ, 23-ში კი „ფორტცაინს" გავეჯიბრებით. რუიტში ჩვენი ყოფნისას პირველი და მეორე ბუნდესლიგების გუნდები შვებულებაში იქნებიან და მათთან თამაშს ვერ შევძლებთ, თუმცა ეს არც არის აუცილებელი.

— 30 ივნისს „სენტ გალენს" შევხვდებით, 2 ივლისს „გრასჰოპერს", მეორე დღეს კი „შაფჰაუზენს". „სენტ გალენთან" და „გრასჰოპერთან" მატჩებს ძირითადს მიახლოებული შემადგენლობით ჩავატარებთ, ხოლო „შაფჰაუზენთან" დანარჩენებს ვათამაშებთ. შინ 5 ივლისს დავბრუნდებით და დარჩენილ ერთ კვირას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მეტოქესთან სათამაშოდ მზადებას დავუთმობთ.

— სტურუა, გიგაური, აბრამიძე, ნერგაძე, მეგრელაძე, ბობოხიძე — აი, ჩვენი ახალწვეულები, რომლებთანაც ჯერ კონტრაქტები არ გაფორმებულა, მაგრამ კლუბი და ფეხბურთელები პირობებზე შეთანხმებულნი არიან. ამათგან ზოგიერთი „დინამოს" განათხოვრებული ჰყავდა და დავიბრუნეთ. დავიბრუნეთ ასევე სანდრო იაშვილი, თუმცა ის თბილისში დარჩება — მას შოტლანდიურ „რეინჯერსში" გადასვლის შანსი აქვს და რადგანაც მისი ბედი ჩვენთვის სულ ერთი არ არის, შოტლანდიაში წასვლამდე „დინამოსთან" ვარჯიშის საშუალება მივეცით. რუიტში „დინამოსთან" ერთად მოდის ფოთის „კოლხეთის" მცველი ლევან აკობიაც, მაგრამ დღეს ვერ გეტყვით, დარჩება თუ არა ის გუნდში.

— „დინამო" დატოვა დავით ჭიჭველიშვილმა, ვისაც გუნდთან კონტრაქტი დაუმთავრდა, მას მადლობა ვუთხარით ჩვენთან თამაშისთვის. როგორც ვიცი, ის კარიერის უცხოეთში გაგრძელებას აპირებს. კაკალაძეს „დინამოსთან" გარკვეული ვალდებულებები კი აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ მისთვის სხვა გუნდი უკეთესი იქნებოდა. კაკალაძეს ალბათ გავანათხოვრებთ. გოჩა ჯამარაული კვიპროსის „ანართოსისის" ფეხბურთელია, მან თემურ ქეცბაიას გუნდთან კონტრაქტი უკვე გააფორმა. ქუცურუა და დვალი განათხოვრებულნი არიან, რომერო და მამალაძე ტრანსფერზე დავაყენეთ, ხოლო ლაშა ჭელიძეს, ჭიჭველიშვილის მსგავსად, გუნდთან კონტრაქტი დაუმთავრდა.

— „თბილისის" მცველი რევაზ ქემოკლიძე ჩვენთან იყო. ჩვენი პირობები შევთავაზეთ. მან მოსაფიქრებლად დრო ითხოვა, მაგრამ შემდეგ აღარ გამოჩენილა.

— ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უეფაში განაცხადების წარდგენის ვადა 4 ივლისამდეა. იქამდე კი გერმანული და შვეიცარიული შეკრებები გვაქვს. 4 ივლისამდე შემადგენლობას კარგად მოვიფიქრებთ. ჯერ დრო გვაქვს.

და მთავარი: საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო" თურმე, ფაქტობრივად, დაშლის პირას ყოფილა. თავად განსაჯეთ, წინა ჩემპიონატის დასრულებისთანავე კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა „დინამოს" ყველა ფეხბურთელს, ლევან მელქაძის გარდა. ალბათ, ამიტომაც ამბობდა „დინამოს" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე, პირველ ყოვლისა საკონტრაქტო საქმეებს უნდა მივხედოო. კახა ცხადაძემ კი ეს გვითხრა:

— როცა გუნდში მოვედით, კლუბთან კონტრაქტი ყველა ფეხბურთელს უმთავრდებოდა. მხოლოდ ლევან მელქაძე იყო „დინამოსთან" კონტრაქტით დაკავშირებული. ამ მოკლე დროში კი შევძელით გუნდის თავიდან დაკომპლექტება. ახლა ვეცდებით ყველა ახალწვეულს გრძელვადიან ხელშეკრულებაზე შევუთანხმდეთ და მსგავსი გაუგებრობა ავირიდოთ. არ არის გამორიცხული, „დინამომ" გერმანიაში ან შვეიცარიაში უცხოელებიც დაიმატოს, თუმცა ეს ფინანსურ შესაძლებლობაზე იქნება დამოკიდებული. ზოგადად კი, ჩვენ კლუბში გრძელვადიანი პროგრამით მოვედით.

**ქობა ინასარიძე**

### დინამო გერმანიაში

1 ირაკლი ზოიძე
2 ზვიად სტურუა
3 ირაკლი თოთლაძე
4 ილია კანდელაკი
5 სერგო ორბელაძე
6 შოთა კაშია
7 კახაბერ ალადაშვილი
8 გულვერდი თომაშვილი
9 დავით გიგაური
10 ვალერი აბრამიძე
11 ლევან აკობია
12 გიორგი ნავალოვსკი
13 გიორგი ჭელიძე
14 შოთა გრიგალაშვილი
15 ლაშა ნოზაძე
16 დავით ოდიკაძე
17 შოთა ბაბუნაშვილი
18 გიორგი ნერგაძე
19 კახა მახარაძე
20 გიორგი მეგრელაძე
21 ვლადიმერ დვალიშვილი
22 მიხეილ ბობოხიძე
23 ლევან მელქაძე

*შარშან, 12 ოქტომბერს უკრაინის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჩვენსას 6:0 მოუგო, ხოლო დინამოელ კახა ალადაშვილს მატჩის არბიტრთან ინციდენტი შეემთხვა და უეფამ მას ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა — ალადაშვილს ამ ხნის განმავლობაში ეროვნულ ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში კი არა, ამხანაგურ მატჩშიც არ ჰქონდა თამაშის უფლება.*

*იძულებითი პაუზის შემდეგ ამ მარჯვენაფლანგელს სეზონის მიწურულს გაუვიდა დისკვალიფიკაციის ვადა და კახა ცხადაძის გაწვრთნილ „დინამოში" ბოლო ოთხი მატჩიც ითამაშა.*

*შარშანდელ „დინამოში", რომელსაც გია გეგუჩაძე წვრთნიდა, ალადაშვილმა საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი უეფას თასის საკვალიფიკაციო და პირველ ეტაპებზე და ახლა უკვე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს გარჯა...*

# გეგუჩაძის აღმოჩენა ცხადაძის ევროფრონტზე

## მთავარია მონდომება და გამართლება

— როგორ იმოქმედა შენზე ექვსთვიანმა უთამაშებლობამ?

— „დინამოს" პირველ გუნდში ვვარჯიშობდი და ადრინდელზე მონდომებული ვიყავი. დღეში ორჯერ ვვარჯიშობდი — ჯერ გუნდთან, მერე კი ინდივიდუალურად. მსურდა, საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ ასეთი სიტუაციიდან თავის დაღწევა შემეძლო. უკრაინაში ის ინციდენტი შემთხვევითობა იყო. ახლა თავს ფიზიკურად უფრო ძლიერად ვგრძნობ, ექვსი თვე ტრენაჟორებზეც საკმაო დატვირთვით ვივარჯიშე.

— „დინამოში" სეზონის ბოლო ოთხი მატჩი ითამაშე და საკუთარ თავს რა შეატყვე, უთამაშებლობას როგორ უმოქმედია?

— დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველი მატჩი ცოტა სხვა იყო, თითქოს თამაშს ვიხსენებდი, დანარჩენი მატჩები კი, ასე ვთქვათ, კარგად წამივიდა და ალენ ჟირესმაც საალბანეთოდ ნაკრებში ალბათ ამიტომ მიმიწვია.

— კახა ცხადაძე რა პოზიციაზე გიპირებს გამწესებას?

— საერთოდ, მარჯვენა ნახევარმცველი ვარ, ბატონმა კახამ კი მარჯვენა მცველად გამამწესა და ალბათ მომავალშიც ამ პოზიციაზე მათამაშებს. მოკლედ, მარჯვენა ფლანგზე ალბათ მე და დავით ოდიკაძე ვიქნებით.

— შარშან „დინამომ" ევროფრონტზე მიაღწია იმდენს, რაც მანამდე დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში არც ერთ გუნდს არ გაუკეთებია — უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. ახლა „დინამო" ჩემპიონთა თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან იწყებს და შარშანდელზე ნაკლები შედეგი წარუმატებლობად ჩაითვლება. ამბობენ, მიღწეულის შენარჩუნება უფრო ძნელიაო...

— როგორც უნდა იყოს, მთავარი მონდომებაა, რომლის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. იმაზე უნდა იფიქრო, რომ უკეთეს შედეგს მიაღწიო. შარშანდელი წარმატების ძირითადი ფაქტორები მონდომება, კარგი მომზადება და გამართლებაც იყო.

**— გამართლებით ყოველთვის არ გაგიმართლებს...**

— თუ მოინდომებ და სწორად ითამაშებ, რატომაც არა?!

**— გია გეგუჩაძის და კახა ცხადაძის „დინამო" რით განსხვავდება?**

— ტაქტიკით. ისე კი, ორივე მწვრთნელი შემტევი ფეხბურთის მიმდევარია. რა თქმა უნდა, ევროტურნირზე უფრო კარგად გამოჩნდება, თუ ახლა რისი ძალა შესწევს „დინამოს". გუნდში ახლაც კარგი მწვრთნელი და ფეხბურთელები არიან, მაგრამ წინასწარ რაიმის თქმა ძნელია.

**— შენი საუკეთესო მატჩი შარშანდელ ევროსარბიელზე რომელი იყო?**

— „სლავიასთან" და „ვისლასთან" — შინაც და სტუმრადაც.

**— საკუთარ თავს გეგუჩაძის აღმოჩენად თვლი?**

— როცა თბილისის „სპარტაკში" მურთაზ ხურცილავა მოვიდა მწვრთნელად, იქიდან წამოვედი. შემდეგ ბოლნისის „სიონში" ვითამაშე სამი თვე და „ოქროს მატჩში" დავმარცხდით. მას მერე დინამოელი ვარ და შეიძლება ითქვას, რომ გეგუჩაძემ აღმომაჩინა.

**დავით თავართქილაძე**



### მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

**B ჯგუფი**
**III ტური**
ჩინეთი 4:1 პანამა
თურქეთი 2:2 უკრაინა

**C ჯგუფი**
**III ტური**
მაროკო 1:0 ჩილე
ესპანეთი 3:0 ჰონდურასი

### ესპანეთი

**სეგუნდადივიზიონი**
**XLII ტური**
სიუდად მურსია 1:3 პოლი ეხიდო

### შვედეთი

**სუპერეტა**
**XI ტური**
დიგერფორსი 1:1 ატვიდაბერგი

### ირლანდია

**პრემიერლიგა. XIII ტური**
ბრეი 1:2 კორკ სიტი
დროჰედა 1:2 დუბლინი
შელბურნი 1:2 შემროკი

# ინტერტოტოს თასი 2005

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი. ხვალ

## ლომბარდ პაპა — ვიტ ჯორჯია

უნგრეთი — საქართველო





იმუშავებენ თუ არა ტომაშ მედვედი და ლაზარ სენტეში ერთად, ჯერაც საკითხავია

# ლომბარდს დათვი გაურბის

## მადიარები ვიტ ჯორჯიას ახალ მწვრთნელს დაახვედრებენ

*უნგრული „ლომბარდ პაპა" ევროტურნირების დებიუტანტია. ეს ალბათ გასაკვირიც არაა — ვიტელთა მეტოქე გუნდი ხომ სულ რაღაც 9 წლის წინ, 1996 წელს დაარსდა. თუმცა, ასე თუ მივუდგებით საკითხს, მაშინ „ვიტ ჯორჯიაზეც" უნდა ვთქვათ: 1998 წელს შექმნილი გუნდი, საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლ-ბრინჯაოზე რომ არაფერი ვთქვათ, შარშან ჩემპიონი გახდა, უეფას თასზეც უთამაშია, ჩემპიონთა ლიგაზეც და ინტერტოტოს ხომ მთლად „დაუძმაკაცდა"...*

**„ლომბარდ პაპას"** კი წლეულსაც არ ეკუთვნოდა ევროპაში გასვლა, მაგრამ ისე მოხდა, რომ სწორედ ჩემპიონატში მეთოთხმეტეს ერგო ეს პატივი — სხვა უნგრულმა კლუბებმა ინტერტოტო იუარეს.

მოკლედ, ასეა თუ ისე, „ლომბარდ პაპა" ალბათ ყველაზე სუსტი გუნდია მათ შორის, რომლებიც ქართულ კლუბს ინტერტოტოს თასზე შეხვედრია. თავად განსაჯეთ: ავსტრიული „რიდი" და „პაშინგი", ფრანგული „ტრუა", ბელგიური „ლოკერენი" და თუნდაც ბულგარული „მარეკი" უნგრელებზე გაცილებით ცნობილი და ძლიერი გუნდებია.

„ლომბარდ პაპა" ბეწვზე გადაურჩა ბორსოდი ლიგიდან გავარდნას — ოდენ 4 ქულით გაასწრო „ნიერსეგს". არადა, სლოვაკი თავდამსხმელი ტომაშ მედვედი 18 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მაგრამ დარჩება თუ არა იგი გუნდში, ძნელი სათქმელია — მედვედს სლოვაკური „პეტრჟალკა" და გერმანული „კიოლნი" ეპატიჟებიან.

მთავარი სიახლე კი ისაა, რომ სეზონის დასრულების მერე „ლომბარდ პაპას" მწვრთნელი შეეცვალა — ლასლო ტაკაშის ნაცვლად ლაზარ სენტეში დაინიშნა.

აქვე იმ შემადგენლობას გაგაცნობთ, „ლომბარდ პაპას" გასულ სეზონში რომ ჰყავდა:

***მეკარეები:*** *ზოლტან დელი, ტამაშ შეპი, ივან ტოტი;*

***მცველები:*** *ვიქტორ ფარკაში, ატილა ფარკაში, ატილა შაყარი, მიჰალი შუჩი, ფერენც როტი, დარიუშ მილჩეა, ტამაშ გერი;*

***ნახევარმცველები:*** *დორიელ მუტიკა, ფერენც გერმანი, პეტერ კინშეში, ბალაშ ლაყა, ლასლო ნემეტი, შაბა სომფალვი, ტიბორ საბო, ზოლტან საბო;*

***თავდამსხმელები:*** *ზოლტან ჰერსეგფალვი, სტევიცა სიმეონი, ტომაშ მედვედი, როლანდ ტუსკე.*

**კახა შალამბერიძე**



# პაპა სახლშიც თავს იცავს?

## ქართული მეექვსე უნგრულ მეთოთხმეტეს უნდა მოერიოს

**„ვიტ ჯორჯია"** მეოთხედ გადის ინტერტოტოს თასზე, აქამდე ვიტელებმა მხოლოდ ერთი ეტაპი გადალახეს ევროტურნირებზე, როდესაც სწორედ ინტერტოტოზე ავსტრიული „რიდი" გამოთიშეს — ეს 2002 წელს იყო. რაც უნდა მაჩანჩალობდნენ ქართული კლუბები, „ვიტ ჯორჯიას" მშვენიერი შანსი აქვს, უნგრული „ლომბარდ პაპას" ბარიერი გადალახოს — არც მადიართა ჩემპიონატი აკვირვებს მსოფლიოს და ვიტელთა მეტოქე მოკრძალებულთა საზომითაც კი მოკრძალებული გუნდია. ისე, არც ვიტლებებს გადაუხნავთ მინდორი და საკითხავიც ესაა — საქართველოს მეექვსეადგილოსანი უნგრეთის მეთოთხმეტეადგილოსანზე მაგარი გუნდია?

ვეტერინართა ახალი თავკაცი ნესტორ მუმლაძე ხუთი დღეა, საქართველოს ნაკრების ბაზაზე ავარჯიშებს გუნდს. „ვიტ ჯორჯია" დღეს გამთენიისას თბილისიდან ვენაში გადაფრინდა, იქიდან კი უნგრეთის ქალაქ პაპაში ჩავა. დღესვე საღამოს „ვიტ ჯორჯია" „ლომბარდ პაპას" 5 500-იან „ვარკერტის" სტადიონზე ივარჯიშებს.



ზურაბ ბერიძე

რა იმედებით მიდიან ვიტელები და რამდენად იცნობენ მეტოქეს, ამაზე გუნდის მეორე მწვრთნელ ზურაბ ბერიძეს დავეკითხეთ. აქვე შეგახსენებთ, რომ უნგრეთში ვერ ითამაშებენ დისკვალიფიცირებული მეკოლე ოთარ მარცვალაძე და დაცვის ლიდერი თენგიზ კობიაშვილი, რაც საკმაო დანაკლისია — მარცვალაძის გარდა „ვიტ ჯორჯიას" ასე თუ ისე მაღალი კლასის ფორვარდი არ ჰყავს, კობიაშვილის არყოფნა კი მით უმეტეს საგრძნობი იქნება იმ ფონზე, რომ ვეტერინარები უკვე დატოვა ალექსანდრე ინწკირველმა.

„დანარჩენი ფეხბურთელები მწყობრში არიან. წინასწარ არ გვინდა ლაპარაკი, მაგრამ „ლომბარდ პაპას" ეტაპი უნდა გავიაროთ. ვერ ვიტყვი, ვის მეტი შანსი აქვს. უნგრული ფეხბურთი საკმაოდ განვითარებულია" — გვითხრა ბერიძემ.

ვიტელებმა მეტოქის თამაში ფირზე ნახეს და ზედაპირული შეფასებით, „ლომბარდ პაპა" უფრო დაცვითი, მაგრამ აგრესიული სტილის გუნდია.

„უნგრეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის თამაში ვნახეთ, „პაპამ" 1:3 წააგო სტუმრად. ძალიან დაცვაში იჯდა მთელი გუნდი და შესაძლოა, ეს უბრალოდ მისი გასვლითი თამაშების მოდელია. ნახევარდაცვა დალაგებულად გამოიყურებოდა, თავდასხმაში კი სწრაფი მოთამაშეები ჰყავთ. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი გუნდია, ვერც სიძლიერით გაგაკვირვებს და ვერც სისუსტეს დააბრალებ" — ესეც ბერიძის სიტყვებია.

ისე, რა გასაკვირია, რომ „ვიტ ჯორჯია" (ისევე, როგორც მისი მეტოქე) სასურველ ფორმაში ვერ იყოს. სეზონი ახალი მორჩენილია და გუნდს ნაუცბათევად მოუწია ვარჯიშის დაწყებამ. ბერიძე ამბობს, ინტერტოტოზე თამაშის წყურვილი არ გვკლავდა, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო უარი ვერ ვუთქვით და ვგებ, კარგიც ვქენით — ვინ იცის, ერთი-ორი ეტაპი გავიაროთ და სახელიან კლუბს შევხვდეთ, ეს ხომ „ვიტ ჯორჯიას" [illegible] ახალგაზრდული გუნდისთვის დიდი სკოლა იქნება.

ვნახოთ, რა შედეგს ჩამოიტანს „ვიტ ჯორჯია" უნგრეთიდან...

**ილია ნანობაშვილი**



ოთარ მარცვალაძე

***მეკარეები:*** *გრიგოლ ბედიაშვილი, მიხეილ მუჯრიშვილი;*

***მცველები:*** *დავით იმედაშვილი, დავით აბშილავა, გიორგი კვახაძე, ალექსანდრე კვახაძე, დავით ლომაია;*

***ნახევარმცველები:*** *გიორგი დათუნაიშვილი, პავლე დათუნაშვილი, ოლეგ მელესიანი, გიორგი ფეიქრიშვილი, ლუკა რაზმაძე, დავით დიღმელაშვილი;*

***თავდამსხმელები:*** *ირაკლი ებანოიძე, ზაზა სახოკია, ვლადიმერ გოჩაშვილი.*

# გოგიტა გოგუას ვითარება აუხსნეს

## ხიმკის გაისად უფრო ვჭირდები

*საქართველოს ნაკრების 21 წლის ნახევარმცველი გოგიტა გოგუა რუსეთის პირველი დივიზიონის „ხიმკიში" მარტში გადავიდა „თბილისიდან", მაგრამ რუსეთის ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა.*

*რა ელის გოგუას? ნუთუ ამ ნიჭიერი ნახევარმცველის კარიერა მუხრუჭდება?*



ბადრი კეთილაძის ფოტო

„ბოლო დროს მცირე ტრავმამ შემაწუხა. ამასწინათ თბილისშიც კიყავი სავიზო პრობლემების მოსაგვარებლად. მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა და ბოლოხანს „ხიმკიში" ამიტომაც არ ვჩანდი" — გვითხრა გოგიტა გოგუამ, ვინც ეროვნულ ნაკრებში სულ ორჯერ ითამაშა, მაგრამ გულშემატკივარმა ეს შეუპოვარი საყრდენი შუახაზელი მყის შეიყვარა.

„ჩემი უთამაშებლობის შესახებ „ხიმკის" ხელმძღვანელობას ვესაუბრე და მითხრეს, შენ რომ აგიყვანეთ, გუნდს შეკრებაც უკვე გავლილი ჰქონდა და ჩემპიონატის თამაშებიც დაწყებული იყო, გუნდი ბოლომდე დაკომპლექტებული გვყავდა, მაგრამ სამომავლოდ გვჭირდები და უმაღლეს ლიგაში რომ გადავალთ, თამაშის უფრო მეტი შანსიც მაშინ გექნებაო — მოგვახსენა გოგუამ და იქვე დაამატა — აქ ისეთი ვარჯიშებია, ფიზიკურად თავს უფრო კარგად ვგრძნობ, ნურავის ჰგონია, რომ ფორმაში არ ვარ".

გოგუა ხიმკიში კლუბის ბაზაზე ცხოვრობს და, როგორც თვითონ ამბობს, არანაირი პრობლემა არ აწუხებს:

„ადრე გუნდის მთავარ მწვრთნელ პაველ იაკოვენკოსთან კი მქონდა მცირე პრობლემები, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა".

რუსეთის პირველი დივიზიონის პირველი წრე მალე დასრულდება, მაგრამ მეორე წრემდე დიდი შესვენება არ იქნება.

„ამხანაგურ მატჩებში სისტემატურად ვთამაშობ რუსეთის პირველი და მეორე ლიგების გუნდებთან და უმაღლესი ლიგის დუბლებთან. მოკლედ, სანაკრებო მატჩებისთვის ვემზადები. იმედია, ნაკრებში კვლავ გამომიძახებენ. კარგ ფორმაში ვარ, თუმც იმასაც ვაღიარებ, რომ პირველ გუნდში სათამაშო პრაქტიკა სულ სხვაა" — ჯერჯერობით ასეა გოგიტას საქმე.

**დავით თავართქილაძე**

# სიონი დღითიდღე ხალისდება

## ერეკლე მერებაშვილიც ბოლნისელია



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბოლნისის „სიონში" კიდევ ორი ფეხბურთელი გადავიდა — თავდამსხმელი ერეკლე მერებაშვილი და ნახევარმცველი გიორგი მარკოზაშვილი.

22 წლის მერებაშვილი ბოლო სამი წელი „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდა, შარშანდელ სეზონში გოლებიც ხშირად გაჰქონდა, თუმც მეორე ეტაპზე ჯანი კარნევალის გათავკაცების შემდეგ ვიტელთა ძირითადში ადგილი დაკარგა. ამას მოჰყვა მერებაშვილისა და კარნევალის შორის უთანხმოება, რის გამოც ახალგაზრდა ფორვარდი გუნდიდან გაუშვეს.

„სიონს" წინა სეზონში ყველაზე მეტად თავდასხმაში უჭირდა, ჯაბა დვალისა და მერებაშვილის გადაბირების შემდეგ კი ეს პრობლემა წესით უნდა მოგვარდეს.

რაც შეეხება 18 წლის მარკოზაშვილს, იგი „დინამო 2"-ში აწ „სიონის" მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილთან თამაშობდა.

სავარაუდოდ, ბოლნისში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გამოჩნდება, უფრო „დინამოსა" და „დინამო 2"-ის მოთამაშეებზე კეთდება აქცენტი. ჩვენი ინფორმაციით, მათ შორის მიხეილ კაკალაძეცაა, თუმც ქასრაშვილმა გვითხრა, მას ამ საკითხზე არ დავლაპარაკებივართო.

**ლუკა თალაკვაძე**



# ყველამ დაწერეთ, რომ ფედერაციიდან მიდიხართ

## პრეზიდენტი განცხადებებს ჩაუჯდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 11 ივნისს არჩეული პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გუშინ ფედერაციის ძველ, ჟორდანიასდროინდელ თანამშრომლებს შეხვდა და ყველას მოსთხოვა განცხადების დაწერა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

ამ იურიდიული პროცედურისთვის თავის დროზე არაერთხელ მიუმართეს მერაბ ჟორდანიას, რასაც რევოლუციური საკადრო ცვლილებები არ მოჰყოლია, მაგრამ ახლა ფედერაციის პრეზიდენტი ახალკაცია და მისი ქმედებანი ჯერ ძნელადპროგნოზირებადია.

როგორც უნდა იყოს, ფედერაციის თანამშრომლებს განცხადების დაწერა მოუწევთ, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი დატოვებს სამსახურს — ახალკაცი უკვე გუშინ შეუდგა განცხადებებისა და ჟორდანიასდროინდელი კადრების შესწავლას. ისე, ზოგიერთ მათგანს უფროსი ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობის დროსაც უმუშავია ფედერაციაში.

რაც შეეხება ახალ გენერალურ მდივანს, მისი ვინაობა არაუგვიანეს 1 ივლისამდე გაცხადდება.

**დავით თავართქილაძე**

# გიგიაძე ტავრიადან ფლაგმანში მიდის

## ჯაკობია ფანების რჩეულია



ვასილ გიგიაძე



ლაშა ჯაკობია

ვასილ გიგიაძეს „ტავრიასთან" კონტრაქტი ივლისში უმთავრდება და გუნდიდან უეჭველად მიდის. შეიძლება ითქვას, უკვე წავიდა კიდეც — ყირიმელთა თავკაცმა ოლეგ ფედორჩუკმა განაცხადა, გიგიაძესთან აღარაფერი გვაკავშირებს და განთავისუფლების ფურცელს ამ დღეებში მივცემთო.

„ტავრიამ" ქართველ თავდამსხმელს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ გიგიაძეს პირობები არ მოეწონა, თანაც უფრო ძლიერ კლუბში სურს გადასვლა და ალბათ გადავა კიდეც.

უკრაინელი ჟურნალისტები ამბობენ, ვასოს გუნდის ძიება არ დასჭირდება, იქით ეძებს საბჭოთა კავშირის დროინდელი ერთ-ერთი ფლაგმანიო. ჩვენი ინფორმაციით, ეს „დნიპრო" უნდა იყოს, თუმცა ქართველით ზაპოროჟიეს „მეტალურგიც" დაინტერესებულა.

რადგან უკრაინის ჩემპიონატში ვტრიალებთ, აქვე ვთქვათ, რომ ხარკოვის „მეტალისტის" გულშემატკივრებმა გუნდის საამსეზონო საუკეთესო ფეხბურთელად ლაშა ჯაკობია დაასახელეს. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა ფანებისგან 64 ხმა მიიღო და სოლიდური სხვაობით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ 20-ხმიან ოლეგ ოსტაპენკოს.

**ილია ნანობაშვილი**




AFP ბარსელონიდან

სანტიაგო ესკერო „ბარსელონას" ქომაგებს ოფიციალურად წარუდგინეს

# ბასკმა კატალონიაში ოცნება აიხდინა

## ესკეროს 14 დააწერეს

**ექსბილბაოელი** სანტიაგო ესკერო გუშინ ოფიციალურად გახდა კატალონიური „ბარსელონას" ფეხბურთელი — ესკერომ ესპანეთის ჩემპიონთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და პრეზენტაციაზე „ბარსას" 14-ნომრიანი მაისურაც მოირგო.

„მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვითამაშებ. ეს ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, რის გამოც უზარმაზარ, სიხარულს განვიცდი" — განაცხადა 28 წლის ბასკმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

სანტიაგო ესკერომ 7 წელიწადი დაჰყო „ბილბაოში" და, როგორც თავად ამბობს, სწორედაც რომ დრო იყო, კარიერა დიდ კლუბში გაეგრძელებინა.

„ბარსა" ბავშვობიდანვე ფანატიკურად მიყვარდა. ყოველთვის ვხედავდი, რომ ეს გუნდი ესპანეთშიც და მის გარეთაც სრულიად თავისებურ, ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობდა. ბედნიერი ვარ, რომ აქ ჯადოსნური სამყაროს წევრი ვხდები" — დასძენს სანტი, რომელიც ახალი კლუბის შემადგენლობაში ხერარდ ლოპესის ნაცვამ მაისურს ჩაიცმევს, „მონაკოში" გადაბარგებული ხერარდი „ბარსაში" სწორედ 14 ნომრით თამაშობდა.

**ლადო ხომერიკი**

# მორატის სიურპრიზის მოლოდინში

## ინტერი ძველებს იტოვებს

**იტალიის** თასის მოგების შემდეგ, „ინტერის" მფლობელი მასიმო მორატი ცოტა სხვანაირად ალაპარაკდა. ქომაგებს სიურპრიზს შევპირდი და ყველანაირად ვეცდები, სიტყვა შევასრულო, მაგრამ გუნდში განსაკუთრებულ ცვლილებებს და ხმაურიან ტრანსფერებს ნუ ელით.

„ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იმედია, იგი მომავალი წარმატებების სათავეა. რაც შეეხება ტრანსფერებს, არა მგონია, ამ მხრივ განსაკუთრებულად ვიაქტიუროთ ან ვარსკვლავებს გამოვეკიდოთ. თუ ტიტულების მოგება გვინდა, გუნდის არევა არაფერს მოგვცემს. უბრალოდ, შემადგენლობის დასაბალანსებლად ერთი-ორი შენაძენია აუცილებელი" — თქვა მორატიმ.

ამასობაში, „ნეროაძური" წამყვანი მოთამაშეების შენარჩუნებაზეც ზრუნავს. მილანელებმა გუნდის არგენტინელ კაპიტან ხავიერ ძანეტისთან 2010 წლამდე გააახანგრძლივეს კონტრაქტი.

„ძალიან მიხარია და მეამაყება, რომ გუნდს ასე ვჭირდები. ყოველთვის ვამბობდი, რომ „ინტერში" დარჩენა მინდა. აქ უკვე 10 წელი გავატარე და არსად წასვლას არ ვაპირებ. მჯერა, წინ წარმატებული სეზონი გველის" — განაცხადა ძანეტიმ.

„შავ-ლურჯებმა" კონტრაქტი კიდევ ერთ ვეტერანთან, სინიშა მიხაილოვიჩთანაც გახანგრძლივეს. სერბი გუნდში მომავალ ზაფხულამდე დარჩება.

„ერთი წლის წინ მიხაილოვიჩი ჩვენთან დიდი ენთუზიაზმითა და შემართებით მოვიდა. იგი ახლაც მონდომებულია და ჩვენ სიამოვნებით ვაგრძელებთ ერთად მუშაობას. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვაფასებთ ფეხბურთელის პროფესიონალიზმსა და გუნდისადმი დამოკიდებულებას. მთავარი მხოლოდ ტექნიკური შესაძლებლობები, ასაკი და განსაკუთრებულად შედეგიანი თამაში არ არის" — თქვა მილანელთა სპორტულმა დირექტორმა მარკო ბრანკამ.

**გიორგი ძაძამაძე**






„ინტერის" არგენტინელი კაპიტანი ხავიერ ძანეტი მასიმო მორატის გუნდში კიდევ ხუთი წელი დარჩება

# ჯერარდის გზიდი

„**ლივერპულის**" თავმჯდომარემ, რიკ პერიმ განაცხადა, რომ მისი შტაბი იმ კვირიდანვე დაიწყებს მოლაპარაკებას კაპიტან სტივენ ჯერარდთან, რომლის აგენტიც ორშაბათს ბრუნდება შვებულებიდან.

ჯერარდს, ძველი კონტრაქტით კიდევ ორი წელიწადი დარჩა „ენფილდზე", თუმცა ნებისმიერ წუთს შეუძლია წასვლა მოითხოვოს. პერი კი ამბობს, რომ სტივი მისი „მთავარი პრიორიტეტია" და გრძელვადიანი პირობების შეთავაზება სურს.

„მე მინდა სწორედ მის გარშემო აშენდეს დიდი გუნდი — ამბობს პერი — ზუსტად იმდენ ხანს დავიტოვებდით, რამდენ ხანსაც უნდა".

შარშან, მთელი წლის მანძილზე არ წყდებოდა ჭორები, რომ სტივენ ჯერარდს „ჩელსი" ეპატიჟებოდა. სიაშია მადრიდის „რეალიც". მიიუმეტეს, რომ ამ უქმეებზე ჯერარდი მადრიდელ ხოსე მარია გუტის შეხვდა და სულაც არ გამორიცხა, რომ „რეალში" გადავა 35 მილიონად.

საეჭვოა, რომ ჯერარდმა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციოში ითამაშოს 12-13 ივლისს, რადგან იმ დროისთვის საკონტრაქტო ლაპარაკები მოთავებული არ იქნება. ამის გამო „ლივერპულს" აზიური ტურნეს გადადებამაც მოუწია, თუმცა ჩემპიონთა თასის მოპოვებიდან თავნახვევარში, [illegible] ცვა საპატიო საქმეა.

პერიმ კი თქვა, რომ „[illegible]ლისთვის" [illegible] ურად გამართავს ამ საკონტრაქტო მოლაპარაკებებს.

**ირაკლი გამყრელიძე**



სტივენ ჯერარდს „ლივერპულის" უფროსობა მალე დაელაპარაკება

*ფლორენციის „ფიორენტინა" მარკო დონადელის ყიდვის შემდეგ, „მილანის" კიდევ ერთი მოთამაშის, კრისტიან ბროკის შეძენას აპირებს. მოგეხსენებათ, „როსონერის" ვარემარბი ძირითად შემადგენლობაში, ფაქტობრივად, ვერ ხვდება და გუნდის გამოცვლაც ამიტომ უნდა. აღვნიშნოთ ისიც, რომ „იების" ამჟამინდელ თავკაც ჩეზარე პრანდელისა და ბროკის ერთად „ვერონაში" უმუშავიათ*

# ჩემი ბროკი, ჩემთან

## საქმეს პრანდელიც შეუდგა

„**კონტრაქტი** ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ მოლაპარაკება მიმდინარეობს და საცაა, შეთანხმებას მივაღწევთ. კრისტიანს ძალიან უნდა „ფიორენტინაში" გადასვლა" — თქვა ბროკის აგენტმა დავიდე ლიპიმ.

„არტემიო ფრანკის" კი სავარაუდოდ, ჯორჯო კიელინი დატოვებს. მართალია, ფლორენციელებს ახალგაზრდა მცველის შენარჩუნება უნდათ და დარჩენაზე უარს არც თავად ფეხბურთელი ამბობს, მაგრამ „იუვენტუსს" მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მისი „დელე ალპიზე" დაბრუნება. თუმც კიელინი ძირითად შემადგენლობაში ადგილის გარანტიას ითხოვს, რასაც ტურინელები ვერ იძლევიან, რადგანაც მის პოზიციაზე ჯანლუკა ძამბროტა ბურთაობს.

ჯორჯო კიელინი: „სამწუხაროდ, ჩემმა აგენტმაც ვერ გამარკვია ბოლომდე ვითარებაში. ჩემი აზრით, ბევრი რამ მომავალ კვირაში გადაწყდება. ერთადერთი რაც მინდა, რეგულარულად თამაშია, რისი საშუალებაც „ფიორენტინაში" მაქვს".

ბოლოს ვთქვათ, რომ „იები" შემდეგი სეზონისთვის მზადებას 12 ივლის დაიწყებენ. 25 ივლისიდან 2 აგვისტომდე კი იაპონურ ტურნეზე გაემგზავრებიან.

**გიორგი ძაძამაძე**



კრისტიან ბროკი შესაძლოა, „ფიორენტინაში" გადავიდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შტუტგარტს ტრაპი მიუდგეს
## ესაო, ისაო, ისევ გერმანიაო



ჯოვანი ტრაპატონიმ „შტუტგარტი“ ჩაიბარა

ჯოვანი ტრაპატონი მომავალი ორი წლის მანძილზე „შტუტგარტის“ მთავარი მწვრთნელი იქნება. მიუხედავად დიდი სურვილისა, 66 წლის სპეციალისტმა ვერც ერთ იტალიურ კლუბთან ვერ შეძლო შეთანხმება და საბოლოოდ მათიას ზამერის პოსტი დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ დონ ტრაპი ბუნდესლიგაში აქამდეც მუშაობდა — იგი „ბაიერნს“ ედგა სათავეში და არცთუ წარუმატებლად. მან მიუნხენელებს 1997 წელს ეროვნული ჩემპიონატი მოაგებინა. გარდა ამისა, დიდი წარმატებით იმუშავა „იუვენტუსში“, ბოლოს კი თერთმეტწლიანი პაუზის შემდეგ ლისაბონის „ბენფიკა“ კვლავ პორტუგალიის ჩემპიონად აქცია.

ზემოთაც გითხარით, ჯოვანი ტრაპატონის ძალიან სურდა იტალიაში დაბრუნება და სერია A-ს რომელიმე კლუბის გაწვრთნა, მაგრამ... ბოლო პერიოდში მის სახელს „რომას“ უკავშირებდნენ, თუმცა, როგორც ჩანს, დედაქალაქელებს ლუჩანო სპალეტი ჩაიბარებს.

როგორც იცით, სპალეტის „უდინეზეს“ ხელმძღვანელობასთან უთანხმოება ჰქონდა და მისი „სტადიო ოლიმპიკოზე“ გადაბარგების ვარიანტიც თითქმის გამოირიცხა, თუმცა მერე შეთანხმდნენ და გუნდის გამოცვლის საქმეში ხელი არ შეეშლება.

როგორც ამბობენ, უახლოეს დღეებში ლუჩანო სპალეტი ოფიციალურად გამოცხადდება „რომას“ თავკაცად.

**გიორგი ქაქაბაძე**

# იუვეს რომაული არდადაგები
## ქალბატონი მიგელს ხიბლავს



კრისტიან პანუჩი

იტალიური პრესის ცნობით, დიდი შანსია, მომავალ სეზონში კრისტიან პანუჩიმ „იუვენტუსის“ მაისურა მოირგოს. მოგეხსენებათ, პანუჩი ფაბიო კაპელოს ერთ-ერთი რჩეული ფეხბურთელია და ტაქტიკოსს იგი ყველგან თან დაჰყავს. შესაბამისად, ამ ტრანსფერს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს ელოდნენ, მაგრამ ბოლო მომენტში მოლაპარაკება ჩაიშალა.

„კრისტიანი „რომაში“ ძალიან ბედნიერია და წასვლაზე არ ფიქრობს. თუმც თუ კაპელოსგან სერიოზული წინადადება იქნება, ეგებ ყველაფერი შეიცვალოს“ — თქვა პანუჩის აგენტმა ოსკარ დამიანიმ.

„იუვენტუსსა“ და „რომას“ ამ ზაფხულს სერიოზული გარიგება ექნებათ. მოლაპარაკება მიმდინარეობს და ყველაფერს თავად იხილავთ“ — განაცხადა „იუვენტუსის“ გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ.

ბუნებრივია, მოჯის ამ სიტყვების შემდეგ პირველ რიგში ყველას ანტონიო კასანო მოაგონდა, თუმცა, გავრცელებული ცნობით, „ბებერ ქალბატონს“ დედაქალაქელთა კიდევ ორ ფეხბურთელზე, კრისტიან კივუსა და ამანტანო მანსინიზე არ ჩაუქნევია ხელი.

პარალელურად, „იუვენტუსი“ პორტუგალიის ნაკრებისა და „ბენფიკას“ მცველ მიგელს ეკურკურება. როგორც ამბობენ, ტურინელებს იგი ლილიან ტურამის შემცვლელად ესახებათ. ტურინელებს მასში ინგლისური „ლივერპული“ ეცილებათ, მაგრამ აპენინელთა უპირატესობა იმაშია, რომ ფეხბურთელის აგენტი მანუელ დიმაში „ბებერი ქალბატონის“ ყოფილი მოთამაშეა.

„ვიცი, რომ „იუვენტუსი“ ჩემით დაინტერესებულია და უკვე სკაუტებიც გამოგზავნეს, თუმც წინადადება ჯერ არ მიმიღია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ იტალიაში სიამოვნებით ვითამაშებდი“ — განაცხადა მიგელმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბარსელონა — იუვენტუსი
## ისინი გამპერისთვის იჭიდავებენ

უკვე ცნობილია მეტოქე, რომელიც ფრანკ რაიკარდის „ბარსელონას“ 24 აგვისტოს, ხუან გამპერის თასს შეეცილება — კატალონიელები მშობლიურ „კამპ ნოუზე“ ფაბიო კაპელოს „იუვენტუსს“ დაეჭიდებიან.

მოგეხსენებათ, „ბარსელონა“, მისი დამაარსებლის საპატივცემულოდ, ყოველი სეზონის წინ იწვევს მეტოქეებს და ისინიც ძირითადად იტალიური გუნდები არიან. ასე იყო ბოლოს შარშანაც, როცა „კამპ ნოუს“ კარლო ანჩელოტის „მილანი“ ეწვია და 1:2 დამარცხდა.

„იუვენტუსთან“ მატჩმა კი შესაძლოა, სხვა დატვირთვაც მიიღოს. სატრანსფერო ამბებს ვგულისხმობთ ანუ, როგორც ესპანური მედია გვამცნობს, „ბარსამ“ და „იუვემ“, არაა გამორიცხული, ერთმანეთში ფეხბურთელებიც გაცვალონ.

**ლადო ხომერიკი**



სენეგალელი ელ-ჰაჯი დიუფი „ბოლტონის“ ქომაგებს ძალიან უყვართ

# დიუფი ბოლტონს შერჩა

ინგლისურმა „ბოლტონმა“ და „ლივერპულმა“ საბოლოოდ მოილაპარაკეს ელ-ჰაჯი დიუფის ტრანსფერზე. სენეგალელი, რომელმაც გასული სეზონი „რიბოკ სტედიუმზე“ არენდის წესით გაატარა, სემ ალარდაისის გუნდში კიდევ ოთხი წლით დარჩება. შეთანხმების ფინანსური დეტალები ჯერ-ჯერობით არ ხმაურდება.

„სემ ალარდაისი საუკეთესო მწვრთნელია, ვისთანაც კარიერის მანძილზე მიმუშავია. იგი გაგრძნობინებს, რომ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ხარ და ფეხბურთის გარდა არაფერზე ფიქრობ. გასული სეზონი ჩემთვის ყველაზე კარგი იყო ბოლო წლებში და „ბოლტონში“ სიამოვნებით ვრჩები. ასევე დიდი მადლობა გულშემატკივრებს, რომლებმაც უცებ შემიყვარეს და ძალიან თბილად მეპყრობიან“ — აღნიშნა 24 წლის თავდამსხმელმა.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის მანძილზე ელ-ჰაჯი დიუფი მეტოქის ფეხბურთელთა თუ გულშემატკივართა შეფურთხებისთვის სამჯერ დასაჯეს. ამის გამო მას „ბოლტონის“ უფროსობასთან უთანხმოებაც კი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი წარსულში დარჩა.

სემ ალარდაისი: „ლივერპულთან“ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმებას მოვაღწიეთ, რითაც ძალიან გახარებული ვარ. დიუფი გუნდში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა“.

„ლივერპულთან“ დაკავშირებით ისიც ვთქვათ, რომ მერსისაიდელებმა გადაწყვიტეს, მაურისიო პელეგრინო გუნდიდან გაუშვან. 33 წლის მცველმა გასულ სეზონში მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილება ვერ ვერ დატოვა და რაფაელ ბენიტესმაც მასთან განშორება არჩია.

**გიორგი ქაქაბაძე**

# რობინიოს საქმე რეალურია
## გუტის იდეალი ნისლიანი ალბიონი

მადრიდის „რეალმა“, როგორც ჩანს, საბოლოოდ მიაღწია თავის მიზანს და პერსპექტიული ბრაზილიელი თავდამსხმელი რობინიო მომავალი სეზონიდან „სამეფო კლუბის“ მაისურას მოირგებს. ტრანსფერის ოფიციალურად გაფორმება კონფედერაციის თასის დასრულების შემდეგ იგეგმება. შეგახსენებთ, რომ „რეალის“ გარდა 21 წლის ფეხბურთელს „ბარსელონა“, „არსენალი“ და მანჩესტერ იუნაიტედი“ ეპატიჟებოდნენ.

„24 ივნისს მადრიდში ვიქნები და „რეალთან“ კონტრაქტის ბოლო დეტალებს შევათანხმებთ. თავად რობინიო ძალიან გულდაწყვეტილია, რომ „სანტოსი“ ლიბერტადორესის თასს გამოეთიშა და ამჟამად მხოლოდ ეროვნულ ნაკრებზე და კონფედერაციის თასზე ფიქრობს“ — თქვა ფეხბურთელის აგენტმა ვაგნერ რიბეირუმ.

გავრცელებული ცნობით, „სანტოსი“ რობინიოს სანაცვლოდ 15-18 მილიონ ევროს მიიღებს.



რობინიო მადრიდის „რეალმა“ დაისაკუთრა

ამასობაში, „რეალის“ დატოვება საბოლოოდ გადაწყვიტა გუტიმ. მას რეგულარულად თამაში სურს, რისი საშუალებაც მადრიდელთა რიგებში არ აქვს. იგი კარიერას სავარუდოდ, ინგლისში გააგრძელებს. 28 წლის ნახევარმცველით პრემიერლიგის რამდენიმე გრანდია დაინტერესებული.

„მზად ვარ, კარიერაში ახალი ფურცელი გადავშალო. ყოველთვის ვამბობდი, რომ „რეალის“ დატოვების შემთხვევაში ინგლისში გადავბარგდებოდი. პრემიერლიგა იდეალური ვარიანტი იქნება. კლუბმა იცის ჩემი გადაწყვეტილების შესახებ და იმედია, ორივე მხარისთვის მისაღებ შეთანხმებას მიაღწევს. ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული რომ მქონდეს, სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ...“ — აღნიშნა გუტიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005





ნორვეგიელმა სოლვეიგ გულბრანდსენმა დამატებით დროში გამარჯვებისა გაიტანა და შვედი გოგოები აატირა

## ეჰ, ჰანა, ჰანა...
### ლიუნგბერგის დუბლმა მაინც ვერაფერი ჰქმნა

**ნახევარფინალი**
**შვედეთი 2:3დ.დ.(2:2) ნორვეგია**

**უორინგთონის** „ჰელიველ ჯონსზე“ დამატებითი ტაიმები შეიქნა საჭირო, ქალთა ევროჩემპიონატის ფინალში გერმანიის მეტოქის გამოსავლენად. საბოლოოდ კი იმ გუნდმა იმარჯვა, რომელიც თამაშის მსვლელობისას ორჯერ იყო დაწინაურებული — ნორვეგიამ.

არადა, ნორვეგიელებს ძირითად დროში ორი წუთიღა უკლდათ გამარჯვებამდე — 88-ე წუთამდე იგებდნენ და ბოლოსწინაზე ჰანა ლიუნგბერგმა გაათანაბრა. ამ გვარის გაგონებაზე, უეჭველად ფრედი ლიუნგბერგი გაგახსენდებოდათ, მაგრამ მათ ნათესაურ კავშირზე ცნობები ვერ მოვიძიეთ.

საერთოდაც, ჰანა ლიუნგბერგს იოლად შეეძლო მატჩის გმირი გამხდარიყო. თამაში რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როცა მის თავურს ნორვეგიელთა მეკარე ბენტე ნორდბიმ დიდებული რეაქცია შეაგება.

პირველ ტაიმში ნორდბიმ ორი სხვა რთული ბურთიც აიღო, მერე კი ნორვეგიელთა საგოლე იერიშის ჯერიც დადგა: სოლვეიგ გულბრანდსენი 41-ე წუთზე შვედ მცველებს დაუსხლტა და ანგარიში გახსნა.

ნორვეგიელთა სიხარულმა დიდხანს ვერ გასტანა, რაკი ორ წუთში ვინ თუ არა ლიუნგბერგმა გაათანაბრება შეძლო.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა შვედებს ფარსავით რამ შეემთხვათ: ლიუნგბერგის პასებით მომმარაგებელი ვიქტორია სვენსონი დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. ამან კი შვედთა იერიშებს სიმწვავე მოაკლო, ნორვეგიელები გაათამამა და მათაც ძლიერ გოლზე გაიწიეს — 63-ე წუთზე იზაბელ ჰერლოვსენმა ვიქინგები ორჯერ დააწინაურა. ამ გოლის შვედებმა საპასუხო, თავშიც მოგახსენეთ, 89-ეზე შეაგდეს და თამაშიც დამატებით დროში გადავიდა.

მერე რაც მოხდა, მოკლედ გითხრათ: მე-19 დამატებულ წუთზე პირველი გოლის გამტანი გულბრანდსენმა გამარჯვებისა შეაგდო და ნორვეგია ფინალში გაიყვანა.

**კოტე კეკელია**

## ბენიტესმა იჩხუბა, თავი დაიცვა და... გაუშვეს

**არგენტინული** „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელი გადადგა — ხორხე ბენიტესის ნაცვლად პატაგონიურ გრანდს დროებით აბელ ალვეში გაწვრთნის. ყველაფერი კი კოპა ლიბერტადორესის მატჩში მომხდარი სკანდალის ბრალია: „ბოკა“ მექსიკურ გვადალახარას“ ეთამაშებოდა, როცა მექსიკელი ადოლფო ბაუტისტა მეტოქე გუნდის მწვრთნელთან მიიჭრა და სახეში ბარაქიანად შეაფურთხა. ცხადია, ბენიტესმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და მექსიკელს ჯერ კისერში მოსდო, ხოლო ნამატჩევს „ბოკას“ პრეზიდენტთან მივიდა და გუნდიდან გამიშვითო, სთხოვა.

„ბენიტესი „ბოკა ხუნიორსიდან“ აქამდეც უნდა წასულიყო. ამ სპეციალისტმა წლეულს ვერაფრით გვახეირა“ — ეწერა გუშინდელ „კლარინში“.

ხეირი ხეირად და „ბოკას“ პრეზიდენტი მაურისიო მაკრიც გვარიანად ყოფილა შეშფოთებული.

„ხორხე ბენიტესს გადადგომაზე თანხმობა განვუცხადე. იგი იმდენად შოკირებულია, რომ ვეჭვობ, მომავალში რომელიმე გუნდთან თანამშრომლობა მოახერხოს. ყველანი დარწმუნებულები იყავით, იმ საშინელი საქციელისთვის ადოლფო ბაუტისტა საკადრისად დაისჯება. ჯერ მისმა გუნდმა საჯაროდ უნდა მოგვიხადოს ბოდიში“ — თქვა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, ხორხე ბენიტესი „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელად 2004 წლის ნოემბერში დაინიშნა, მაგრამ სუსტი ნებისყოფისა და შეგირდების ვერდამმორჩილებელმა ამ არგენტინულ გრანდში თავი ვერაფრით გამოიჩინა.

**ლადო ხომერიკი**



ხორხე ბენიტესი უმუშევარია



კრიშტიანუ მარკეს გომეში, იგივე კრისი

## ლუშემბურგოს კრისი კრუზეირომ გაახსენა

**ფრანგული** „ლიონის“ 28 წლის ბრაზილიელი მცველი კრიშტიანუ მარკეს გომეში, იგივე კრისი ახალი სეზონიდან სავარაუდოდ, მადრიდის „რეალში“ ითამაშებსო, გვამცნობს „ეკიპი“ და იქვე ვკითხულობთ, „რეალის“ მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო თანამემამულე ფეხბურთელის შეძენით ძალიანაა დაინტერესებული და ექსშეგირდის (მადრიდელთა დღევანდელი თავკაცი „კრუზეიროში“ კრისის დამრიგებელი გახლდათ) „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩაყვანას პირადად შეეცდებაო.

კრისის კარიერა „კორინთიანსში“ დაიწყო, 2000 წელს „კრუზეიროში“ გადავიდა, სადაც 78 მატჩში დაიცვა მისი ღირსება. შემდეგ გერმანულ „ლევერკუზენს“ მიკითხა. მერე კი ისევ ბრაზილიაში დაბრუნდა.

„ლიონში“ ერთი წელია, რაც თამაშობს. ბრაზილიელმა გასულ სეზონში 33 შეხვედრა ჩაატარა, 3 გოლი გაიტანა და საფრანგეთის ჩემპიონიც გახდა.

„რეალსა“ და „ლიონს“ შორის მოლაპარაკებები უკვე დაიწყო.

**ლადო ხომერიკი**

## '2005
### ლიბერტადორესის თასი 2005

მეოთხედფინალი. პირველი მატჩი
რივერ პლეიტი (არგენტინა) 3:2 ბანფილდი (არგენტინა)

### შვედეთი

ალსვენსკა
X ტური
ასირისკა 0:1 ჰელსინგბორგი
გიოტებორგი 2:0 სუნდსვალი
ლანდსკრონა 1:1 კალმარი
მალმიო 1:3 იურგორდენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 10 | 6 | 2 | 2 | 19:12 | 20 |
| მალმიო | 10 | 6 | 1 | 3 | 12:8 | 19 |
| ჰალმსტადი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:11 | 17 |
| გიოტებორგი | 10 | 4 | 5 | 1 | 10:6 | 17 |
| ჰელსინგბორგი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:12 | 17 |
| ჰეკენი | 10 | 5 | 1 | 4 | 17:11 | 16 |
| კალმარი | 10 | 4 | 4 | 2 | 8:6 | 16 |
| ელფსბორგი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:16 | 12 |
| ჰამარბი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:13 | 12 |
| ლანდსკრონა | 10 | 3 | 3 | 4 | 14:20 | 12 |
| იორგრიტე | 10 | 3 | 2 | 5 | 12:17 | 11 |
| სუნდსვალი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:17 | 10 |
| გეფლე | 10 | 3 | 0 | 7 | 9:16 | 9 |
| ასირისკა | 10 | 2 | 1 | 7 | 7:12 | 7 |

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა
IX ტური
მიუპა 0:0 ალიანსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 9 | 5 | 4 | 0 | 13:5 | 19 |
| ტამპერე | 9 | 5 | 3 | 1 | 13:7 | 18 |
| ინტერი | 10 | 4 | 5 | 1 | 13:3 | 17 |
| მიუპა | 9 | 4 | 4 | 1 | 12:4 | 16 |
| მარიეჰამნი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:10 | 15 |
| ჰაკა | 9 | 3 | 5 | 1 | 7:5 | 14 |
| კტპ | 9 | 4 | 2 | 3 | 10:10 | 14 |
| ალიანსი | 9 | 2 | 6 | 1 | 9:7 | 12 |
| ლაჰტი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:14 | 11 |
| ტურკუ | 8 | 2 | 2 | 4 | 5:8 | 8 |
| კუოპიო | 9 | 2 | 1 | 6 | 7:16 | 7 |
| ტპ 47 | 9 | 1 | 2 | 6 | 3:8 | 5 |
| როვანიემი | 9 | 0 | 5 | 4 | 7:15 | 5 |
| იარო | 9 | 0 | 4 | 5 | 3:14 | 4 |

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა
XXX ტური
არსენალი 2:0 ვორსკლა
კრივბასი 0:0 ჩერნომორეცი
მეტალისტი 0:2 დნიპრო
მეტალურგი (ზ) 2:1 ბორისფენი
ობოლონი 1:1 მეტალურგი (დ)
შახტარი 3:2 დინამო
ტავრია 4:1 ვოლინი
ზაკარპატია 1:0 ილიჩევეცი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 30 | 26 | 2 | 2 | 63:19 | 80 |
| დინამო | 30 | 23 | 4 | 3 | 58:14 | 73 |
| მეტალურგი (დ) | 30 | 14 | 7 | 9 | 38:35 | 49 |
| დნიპრო | 30 | 13 | 9 | 8 | 38:34 | 48 |
| ილიჩევეცი | 30 | 12 | 8 | 10 | 38:34 | 44 |
| ტავრია | 30 | 11 | 9 | 10 | 34:28 | 42 |
| ჩერნომორეცი | 30 | 12 | 6 | 12 | 29:29 | 42 |
| ვოლინი | 30 | 11 | 7 | 12 | 35:37 | 40 |
| არსენალი | 30 | 9 | 10 | 11 | 30:33 | 37 |
| მეტალურგი (ზ) | 30 | 8 | 11 | 11 | 25:32 | 35 |
| მეტალისტი | 30 | 9 | 7 | 14 | 25:37 | 34 |
| ზაკარპატია | 30 | 7 | 10 | 13 | 21:30 | 31 |
| კრივბასი | 30 | 7 | 10 | 13 | 24:38 | 31 |
| ვორსკლა | 30 | 8 | 6 | 16 | 18:35 | 30 |
| ობოლონი | 30 | 4 | 9 | 17 | 18:43 | 21 |
| ბორისფენი | 30 | 3 | 11 | 16 | 15:31 | 20 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი
## A ჯგუფი





გერმანელთა მწვრთნელები იურგენ კლინსმანი, იოხიმ ლიოვი და ანდრეას კეპკე ნაკრებში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ მოახდენენ

# კლინსმანი კრიტიკას ვერ შეეგუება

## გერმანია — ტუნისი

**ტუნისის** ნაკრებს, პირველი მატჩის წაგების მიუხედავად, ყურები არ ჩამოუყრია და ტურნირის მასპინძლების საერთოდ არ ეშინიათ. შეგახსენებთ, აფრიკელებმა არგენტინის წინააღმდეგ საკმაოდ კარგად ითამაშეს და ცოტა ფორტუნაც რომ წახმარებოდათ, იმ შეხვედრას ნამდვილად არ წააგებდნენ.

განსაკუთრებულად კარგი შთაბეჭდილება ტუნისელთა შემტევმა მოთამაშეებმა, ზიად ჯაზირიმ და სანტოსმა დატოვეს. აფრიკელთა ფრანგი თავკაცი როჟე ლემერიც სწორედ მათზე ამყარებს მთავარ იმედებს.

„ჩვენი მეორე მატჩი პირველისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება. გერმანელებს ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები, განსაკუთრებულად კი მცველები ჰყავთ. ასე რომ, ტაქტიკის გადაწყობა მოგვიწევს. რა თქმა უნდა, სანტოსისა და ჯაზირის იმედი მაქვს. ვფიქრობ, წარმატებულად თამაში შეგვიძლია“ — თქვა ლემერმა.

„აქ ჩვენი შესაძლებლობების გამოსავლენად ვართ და ეს მატჩი საუკეთესო საშუალება იქნება. საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს და ამას დავამტკიცებთ. ჩვენი მთავარი კოზირი სისწრაფე და ტექნიკაა“ — აღნიშნა აფრიკელთა ნახევარმცველმა ადელ ჩადლიმ.

ავსტრალიასთან შეხვედრის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში მოყოლილი იურგენ კლინსმანი კი სიმშვიდეს ინარჩუნებს. გერმანელთა მწვრთნელმა თავისი ფეხბურთელები დაიცვა და შეაგულიანა.

იურგენ კლინსმანი: „ყველაფერი კარგად არის და ტრაგედიას ნუ შევქმნით. ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს და ნელ-ნელა გამოცდილებას ვიძენთ. ტუნისთან, ცხადია, მოსაგებად ვითამაშებთ და ბევრ შეცდომას გამოვასწორებთ“.

სავარაუდოდ, გერმანელთა კარს ამ შეხვედრაში ოლივერ კანის ნაცვლად იენს ლემანი დაიცავს. მოგეხსენებათ, კლინსმანი ხშირად მიმართავს შემადგენლობის როტაციას და შანსს ყველას აძლევს. გამორიცხული არ არის, ძირითად შემადგენლობაში კიდევ რამდენიმე ცვლილებას ჰქონდეს ადგილი.

ბოლოს გერმანელთა კაპიტან მიხაელ ბალაკსაც მოვუსმინოთ: „თუ უფრო ყურადღებით არ ვითამაშებთ და მეტოქეს ჩვენს კართან მომენტების შექმნაში ხელს შევუწყობთ, კვლავ სერიოზული პრობლემები გვექნება. იმედია, მალე ყველაფერი გამოსწორდება და ამას ტუნისთან მატჩი დაუდებს სათავეს“.

**გიორგი ძაძაბაძე**





არგენტინელთა მეკარე ჰილფრედო კაბალიეროს ჭინძლო, მარკ ვიდუკას დარტყმულების მოგერიებაც მოუხდეს

# ავსტრალიას მუნდიალისთვის არგენტინა მოამზადებს

## ავსტრალია — არგენტინა

**ავსტრალიელთათვის** ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, მუნდიალზე მოსახვედრად წლის ბოლოსკენ მათ სამხრეთ ამერიკაში მე-5 ადგილზე გასული გუნდის დამარცხება მოუწევთ. შესაბამისად, გენერალური რეპეტიციისთვის კონტინენტის ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებთან ძალების მოსინჯვა საუკეთესო ვარიანტია. გარდა ამისა, ფრენკ ფარინას შეგირდებისთვის გერმანიასთან წაგების შემდეგ ეს თამაში ნახევარფინალში გასასვლელი უკანასკნელი შანსია.

„ამ შეხვედრას განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით და ბოლომდე დავიხარჯებით. არგენტინელებთან მატჩი წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ როგორი სისტემით აჯობებს, სამხრეთ ამერიკის მე-5 გუნდთან თამაში. თანაც კონფედერაციის თასის ნახევარფინალში ვაპირებთ გასვლას. რა თქმა უნდა, გერმანიასთან მარცხის გათვალისწინებით, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ავსტრალია არასდროს ნებდება. 2001 წელს საფრანგეთი და ბრაზილია დავამარცხეთ, ამხანაგურ თამაშში ვძლიეთ ინგლისს და არგენტინასთან მოგებაც შეგვიძლია“ — განაცხადა ოზთა ნახევარმცველმა სკოტ ჩიპერფილდმა.

უმოტივაციოდ არც არგენტინელები არიან. ტუნისთან არცთუ დამაჯერებელი თამაშის შემდეგ, სამხრეთამერიკელები უკეთ ბურთაობასა და რეალური ძალის გამოჩენას აპირებენ. არჩეული გეზიდან გადახვევას არ აპირებს მწვრთნელი ხოსე პეკერმანი, რომელიც სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებას გააკეთებს.

„აქ ყველა გუნდი ძლიერია და თითოეულ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს. შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები იქნება, რადგანაც ჩვენ სხვადასხვა სისტემებს ვამუშავებთ. თანაც ძირითად 11 კაცში ადგილი გარანტირებული არავის აქვს და კონკრეტულ მომენტში, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, ის ითამაშებს“ — აღნიშნა პეკერმანმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

GERMANY 2005

## I ტურის მიმოხილვა. სოსო კოტორაშვილი

# ბრაზილია ბრაზილიას ჰგავს



კარლოს ალბერტო პარეირა

კონფედერაციის თასის პირველმა ტურმა სენსაციების გარეშე ჩაიარა. ფავორიტებად შერაცხულმა გერმანიამ, არგენტინამ და ბრაზილიამ თავიანთი მატჩები მოიგეს, თუმცა ამ სამეულში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთა დამაჯერებელი გამარჯვება უნდა გამოვარჩიოთ. კარლოს ალბერტო პარეირას გუნდმა სამი უპასუხო გოლი გაუტანა ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს და ასე თუ გააგრძელა, ვინძლო, თასის დაუფლებაში ვინმემ ხელი შეუშალოს. ამის თქმის საფუძველს არგენტინელთა და ტურნირის მასპინძელ გერმანელთა პირველ ტურში ნაჩვენები თამაშები გვაძლევს. მართალია, ერთმაც და მეორემაც, შესაბამისად, ავსტრალია და ტუნისი დაამარცხეს, მაგრამ სამი ქულის მონადირება რომ ძალიან გაუჭირდათ, ამ მატჩის მნახველნი ალბათ დაგვეთანხმებიან. გუშინ გუნდები ისვენებდნენ, დღეს კი **A** ჯგუფის მეორე ტურის მატჩები გაიმართება, ვიდრე ამ შეხვედრების ანონს გაეცნობოდეთ, მანამდე პირველი ტურის ერთგვარ მიმოხილვას შემოგთავაზებთ.

### თავი დაიცავი, იურგენ!

გერმანიისა და ბუნდესნაკრებისთვის წლევანდელი კონფედერაციის თასის გათამაშება გენერალური რეპეტიციაა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. ერთი წლის თავზე, გაისად ამ დროს სწორედ გერმანია უმასპინძლებს მუნდიალს და იქაურებიც თავისი გუნდისგან მხოლოდ ოქროს მედლებს ელიან. ამიტომაცაა, ბუნდესნაკრების თითოეულ მატჩს მედია, მწვრთნელები თუ ქომაგები გამორჩეული ინტერესით რომ ადევნებენ თვალს. იურგენ კლინსმანის გაპირველკაცების მერე ნაკრებს თამაში არ წაუგია, კონფედერაციის თასის პირველ ტურშიც, ავსტრალიას 4:3 მოუგო, თუმც ჰერ კლინსმანს მაინც აკრიტიკებენ, უმეტესად კი დაცვის გაუმართავ თამაშზე მიანიშნებენ. მაგრამ კლინსმანს ბევრი მომხრეც ჰყავს, რომლებიც კრიტიკოსებს მოთმინებისკენ მოუწოდებენ, აქაოდა, ნაკრები შენების პროცესშია და სამუნდიალოდ ისეთი გუნდი გვეყოლება, მსოფლიოს თასს ვერავინ შეეცილებაო.

ავსტრალიასთან მოგებული მატჩის მერეც ქომაგ-სპეციალისტთა აზრი ორად გაიყო. კლინსმანელები ამბობენ, რომ ნაციონალმანშაფტმა გამართული, სწორი ფეხბურთი ითამაშა, ისინი ბუნდესთავკაცს გუნდის გაახალგაზრდავების მცდელობას უწონებენ. კლინსმანმა სასტარტოში დააყენა ბაიერნელი შვაინსტაიგერი და კიოლნელი პოდოლსკი, დაცვის მარჯვენა ფლანგი არნე ფრიდრიხს ჩააბარა, დაცვის ცენტრში კი ჰანოვერელ პერ მერტესაკერს ჩელსელი რობერტ ჰუთი შეუწყვილა. უმადური უნდა იყო, შვაინსტაიგერის, პოდოლსკისა და მერტესაკერის მართლაც კარგი თამაში რომ არ გამოარჩიო, რობერტ ჰუთის შეცდომებმა კი კრიტიკოსები კვლავ მწარედ აალაპარაკა. გერმანული პრესა ორ გოლში სწორედ ჩელსელს ადანაშაულებს და კლინსმანს მის ნაკრებში სამომავლოდ გამოძახებისგან თავის შეკავებას ურჩევს. კლინსმანმა კი ჰუთი დაიცვა: „ის ახალგაზრდა და გამოუცდელია, მაგრამ დღითი-დღე უმატებს და დარწმუნებული ვარ, სამუნდიალოდ დაცვის ბურჯი იქნება". ხოლო ავსტრალიასთან თამაში ბუნდესმწვრთნელმა ასე შეაფასა: „ჩემი ფეხბურთელები ძალიან ღელავდნენ. გარდა ამისა, ავსტრალიელებმა ტაქტიკურად გამართულად ითამაშეს და ბევრი პრობლემები შეგვიქმნეს. მიუხედავად ამისა, გუნდის თამაშითა და, ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩვენ ხომ სამი ქულა მოვიპოვეთ".

ნამატჩევს ჟურნალისტებმა გერმანელ ფეხბურთელებსაც სთხოვეს კომენტარი. მიხაელ ბალაკი: „ძალიან სწრაფი თამაში იყო და ორივე გუნდის მოთამაშეებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა". პერ მერტერსაკერი: „ავსტრალიელთა კარგმა თამაშმა გამაკვირვა. საბედნიეროდ, ჩვენ ოთხი გოლის გატანა მოვახერხეთ".

ავსტრალიელთა კარგმა თამაშმა არა მარტო მერტერსაკერი არამედ, მედია და სპეციალისტებიც გააკვირვა. არადა, გერმანელი მწვრთნელი რუდი გეტენდორფი, რომელიც 1979-82 წლებში წვრთნიდა ავსტრალიის ნაკრებს და ახლაც მწვანე კონტინენტზე სახლობს, თურმე მატჩამდე აფრთხილებდა თავისტომთ, ავსტრალიელებს ნუ ეხუმრებით, ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის და მოგება ძალიან გაგიჭირდებათო. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, გეტენდორფი მართალი ყოფილა. ფრენკ ფარინამ პრემიერლიგაში, პრიმერადივიზიონსა და ბუნდესლიგაში მოთამაშე ავსტრალიელებით ისეთი გუნდი შეკრა, რომელიც ტოლ-სწორად ეთამაშა ნაციონალმანშაფტს და სამი გოლიც გაუტანა. მარცხის მიუხედავად ფარინა შეგირდების გარჯით კმაყოფილი დარჩა და ჯგუფიდან გასვლას ეშურება: „ჩვენი მიზანი ნახევარფინალში თამაშია. მართალია, გერმანიასთან წავაგეთ, მაგრამ წინ ორი შეხვედრა გველის. არგენტინას იოლად არაფერს დავუთმობთ. ეგ კი არა, მათ დასამარცხებლად ვიბრძოლებთ" — დაემუქრა ფარინა სამხრეთამერიკელებს.



მიხაელ ბალაკი



რობერტ ჰუთს (მარცხნივ) კრიტიკოსები მოუმრავლდნენ

### პეკერმანმა ლემერი ვერ დაინახა

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა — რომელმაც ეტყობა მეტოქის შესაძლებლობები სათანადოდ ვერ შეაფასა — ტუნისთან მატჩში სათადარიგო ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. ოღონდ ბოლომდე ვერ გარისკა და გუნდის ლიდერები ხუან რომან რიკელმე და ხავიერ სავიოლა ძირითადში დააყენა. ტუნისი კი კერკეტი კაკალი გამოდგა. აფრიკელებს აშკარად დაეტყოთ საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის როჟე ლემერის ხელი. გუნდი ფიზიკურად კარგადაა მომზადებული, არც სათამაშო დისციპლინა დაეწუნება და არც ბრძოლისუნარიანობა, მაგრამ მაღალი კლასის ფეხბურთელები რომ არ ჰყავს, ცხადია. სწორედ კლასის ხარჯზე შეძლეს არგენტინელებმა აფრიკელთა დამარცხება. ტუნისელთა უკლასობას თუნდაც გაცუდებული პენალტი ადასტურებს. მატჩის მე-13 წუთზე იმედ მჰეჯებს რომ გაეტანა, არავინ იცის, თამაში როგორ დასრულდებოდა.

სამხრეთამერიკელებისგან სპეციალისტები გაცილებით მეტს ელოდნენ, თუმცა, ზემოთაც ვთქვით, პეკერმანმა სათადარიგოების საქმეში ნახვა ამჯობინა და ალბათ არც გაემტყუნება. არგენტინას სამუნდიალო საგზური უკვე ჯიბეში უდევს და მწვრთნელმა წამყვან მოთამაშეებს ამოსუნთქვის საშუალება რომ მისცეს, რა გასაკვირია. არგენტინელთა ნამდვილი ძალა, ვფიქრობთ, გერმანიასთან მატჩში გამოჩნდება.

### ბრაზილიის საგანძური

„ძალიან კარგად ვითამაშეთ, დღეს მე ნაღდი გუნდი ვნახე — ხარობდა ბერძნეთა დამარცხების მერე ბრაზილიის ნაკრების თავკაცი კარლოს ალბერტო პარეირა — კონფედერაციის თასი მსოფლიოს ჩემპიონატი არ არის, მაგრამ მე უკვე ვგრძნობ მუნდიალის სუნთქვას" — ასე ფილოსოფიურად დასძინა პრესკონფერენციაზე თავისი [illegible] სელესაოს თავკაცმა. პარეირას [illegible] სრული უფლება აქვს [illegible] ბით იტრაბახოს. ამაში [illegible] დელი მატჩის ხილვისას დავრწმუნდებოდით. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა პირწმინდად დაჯაბნეს ევროჩემპიონატის მოგებით [illegible] ნები და გერმანიაში [illegible] ლიელთა უპირობო ფავორიტობაზე ალაპარაკდნენ.

პარეირამ კონფედერაციის თასზე არ წაიყვანა და დასვენების საშუალება მისცა რონალდოს, კაფუს და რობერტო კარლოსს. [illegible] ლის უთამაშებლობა [illegible] ნაკრებთან დაპირისპირებისას [illegible] სათვის დიდად არ და[illegible] ლდობა რობინიომ [illegible] ზენა ფლანგზე ბერლინის „ჰერტა"-ს მცველმა ჟილბერტომ [illegible] ლო მარჯვნივ „სან პაულუს" [illegible] სინიო დაჰქროდა. [illegible] განსაკუთრებული ყურადღება [illegible] ბუკი რობინიოსკენ იყო მიპყრობილი. რობიმ მოლოდინი [illegible] რამდენჯერმე დიდოსტატურად [illegible] ისარჯა, მეორე ტაიმის [illegible] სში კი გოლიც [illegible] რამ ნამატჩევს რობინიოს [illegible] ლის საგანძური და [illegible] რი ფეხბურთელი უწოდა [illegible] თა გერმანელი მწვრთნელი [illegible] პაულს კი ხალისიანად [illegible] არაფერი ჰქონდა: „[illegible] ლი ვარ, მეორე ტაიმში [illegible] უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ [illegible] წინააღმდეგ ხომ [illegible] შობდა. განსაკუთრებით [illegible] ისეთი ბომბის [illegible] რიანო რომაა, მან [illegible] ლი გოლი გაგვიტანა. შედეგით [illegible] დი ანგარიშით დავმარცხდით" — თქვა ჰერ ოტომ და დარბაზი ნირწამხდარმა დატოვა.



ოტო რეჰაგელი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 2 | ბოლონია-პარმა | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 19:00 | 292 | ტრიესტინა-ვიჩენცა | 1.95 | 2.80 | 4.30 | 1.14 | 1.34 | 1.69 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 20:30 | 6 | ეიბარი-ფეროლი | 1.25 | 4.80 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.00 |
| 20:30 | 13 | ხერესი-კადისი | 5.00 | 3.80 | 1.50 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| 23:00 | 4 | ალმერია-მურსია | 2.25 | 2.70 | 3.20 | 1.22 | 1.32 | 1.46 |
| 20:30 | 7 | ტარაგონა-უელვა | 2.35 | 2.80 | 2.90 | 1.27 | 1.29 | 1.42 |
| 20:30 | 8 | ლეიდა-სელტა | 5.00 | 3.80 | 1.50 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| 22:00 | 9 | პონტევედრა-სალამანკა | 2.25 | 2.80 | 3.00 | 1.24 | 1.28 | 1.44 |
| 20:00 | 12 | ვალიადოლიდი-ელჩე | 1.75 | 3.10 | 4.20 | 1.11 | 1.23 | 1.78 |
| 20:30 | 11 | ტენერიფე-მალაგა ბ | 2.25 | 2.70 | 3.20 | 1.22 | 1.32 | 1.46 |
| 20:30 | 3 | ალავესი-სპორტინგი | 1.65 | 3.10 | 5.00 | 1.07 | 1.24 | 1.91 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 15:00 | 21 | ტორპედო-სპარტაკი | 3.10 | 3.00 | 2.20 | 1.52 | 1.28 | 1.26 |
| 15:00 | 17 | ლოკომოტივი-ალანია | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 15:00 | 16 | კრილია-რუბინი | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 15:00 | 19 | ტერეკი-დინამო | 3.20 | 2.90 | 2.25 | 1.52 | 1.32 | 1.26 |
| 15:00 | 20 | ტომი-როსტოვი | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 15:00 | 18 | შინიკი-სატურნი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 15:00 | 22 | ცსკა-ამკარი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 15:00 | 23 | ზენიტი-მოსკოვი | 1.75 | 3.30 | 4.45 | 1.14 | 1.25 | 1.89 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 40 | სილკებორგი-ვიბორგი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 17:00 | 39 | რანდერსი-ესბიერგი | 4.60 | 3.50 | 1.60 | 1.98 | 1.18 | 1.09 |
| 17:00 | 35 | ბრონდბი-ნორდსიელანდი | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 17:00 | 38 | ოდენსე-ორჰუსი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 17:00 | 36 | კოპენჰაგენი-ჰერფოლგე | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 17:00 | 37 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 47 | კოგე-ფრემი | 2.75 | 3.70 | 2.20 | 1.57 | 1.22 | 1.37 |
| 17:00 | 48 | ნიკობინგი-ხელსინგორი | 1.60 | 3.90 | 4.50 | 1.13 | 1.18 | 2.08 |
| 17:00 | 44 | ჰორსენსი-ვეილე | 1.65 | 3.80 | 4.20 | 1.15 | 1.18 | 1.99 |
| 17:00 | 43 | აკადემისკი-ფრემადი | 2.10 | 3.70 | 2.75 | 1.33 | 1.19 | 1.57 |
| 17:00 | 42 | სონდერიუსკე-ფრედერისია | 1.25 | 4.90 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.10 |
| 17:00 | 41 | ოლსტედი-ბელერუპი | 2.45 | 3.70 | 2.40 | 1.47 | 1.21 | 1.45 |
| 17:00 | 46 | ბრონშოი-დალუმი | 2.10 | 3.80 | 2.80 | 1.35 | 1.20 | 1.61 |
| 17:00 | 45 | ბ 93-სკოვშოვედი | 4.30 | 4.00 | 1.60 | 2.07 | 1.16 | 1.14 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 50 | ვალერენგა-ვიკინგი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 55 | ბოდო გლიმტი-ლილესტრომი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 20:00 | 51 | ჰამარი-ოდ გრენლანდი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 20:00 | 52 | მოლდე-ფრედრიკსტადი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 20:00 | 54 | ალესუნდი-სტარტი | 2.95 | 3.10 | 2.30 | 1.51 | 1.29 | 1.32 |
| 22:15 | 56 | ბრანი-როზენბორგი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:00 | 53 | ტრომსო-ლინი | 2.40 | 3.30 | 2.70 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 63 | ტონსბერგი-სოგნდალი | 2.70 | 4.00 | 2.00 | 1.61 | 1.14 | 1.33 |
| 20:00 | 60 | მოსი-მანდალი | 1.80 | 3.80 | 3.50 | 1.22 | 1.18 | 1.82 |
| 20:00 | 58 | ბრინი-ლოვ ჰამი | 1.25 | 5.80 | 8.00 | 1.02 | 1.08 | 3.36 |
| 20:00 | 62 | სტრომსგოდსეტი-ჰოდი | 1.70 | 3.70 | 3.60 | 1.16 | 1.15 | 1.82 |
| 20:00 | 61 | პორს გრენლანდი-ფოლო | 1.50 | 3.90 | 5.50 | 1.08 | 1.17 | 2.28 |
| 20:00 | 57 | ალტა-კონგსვინგერი | 2.35 | 3.90 | 2.40 | 1.46 | 1.18 | 1.48 |
| 20:00 | 59 | ჰაუგესუნდი-სანდეფიორდი | 2.55 | 3.80 | 2.20 | 1.52 | 1.18 | 1.39 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 64 | სტაბეკი-სკეიდი | 1.30 | 5.00 | 7.50 | 1.03 | 1.10 | 3.00 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 19:00 | 75 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 19:00 | 76 | ორგრიტე-ასირისკა | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 77 | იურგორდენი-ჰელსინგბორგი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 21:00 | 78 | ელფსბორგი-მალმო | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 21:00 | 79 | გეფლე-ლანდსკრონა | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 85 | ბრომაპოიკარნა-მიალბი | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 18:00 | 86 | ლიუნგსკილე-ფრიოლუნდა | 1.75 | 3.50 | 3.80 | 1.16 | 1.19 | 1.82 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 19:00 | 89 | ტრელებორგი-გაის | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 19:00 | 88 | აიკ-ვესტეროსი | 1.45 | 3.90 | 5.70 | 1.05 | 1.15 | 2.31 |
| 19:00 | 90 | ოსტერსი-ფალკენბერგი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 18:00 | 87 | ვესბი-ბოდენსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 98 | ჰაკა-ტპ 47 | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 102 | მარიეჰამნი-ალიანსი | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 20:00 | 103 | როვანიემი-მიუპა | 4.70 | 3.60 | 1.55 | 2.03 | 1.16 | 1.08 |
| 20:00 | 101 | ლაჰტი-კუოპიო | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 20:00 | 100 | იარო-ტურკუ | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 20:00 | 99 | ჰიკ-კტპ | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 113 | ლონგფორდი-დერი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 114 | პერმსი-უოტერფორდი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 121 | ნიუ იორკი-კოლამბუსი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 122 | ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| 23:45 | 125 | სან ხოსე-სოლტ ლეიკი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 123 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1.95 | 3.10 | 3.40 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 120 | ჩიკაგო-კანზასი | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| 23:45 | 124 | ჩივასი-კოლორადო | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 128 | არსენალი-ხიმნასია | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 23:45 | 130 | ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 131 | ინსტიტუტო-როსარიო | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:30 | 133 | კილმესი-ოლიმპო | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 21:00 | 132 | ნიუელსი-ბოკა ხუნიორსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 134 | რასინგი-ლანუსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:30 | 127 | არგენტინოს ხუნიორსი-ურაკანი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 137 | ფიგეირენსე-პაისანდუ | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 23:00 | 142 | პალმეირასი-ვასკუ და გამა | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 23:00 | 144 | ბრაზილიენსე-კორინთიანსი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 138 | პონტე პრეტა-გოიასი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 23:45 | 136 | ატლეტიკო მგ-სან კაეტანო | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 141 | კურიტიბა-პარანა | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 146 | ჟუვენტუდი-კრუზეირო | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:45 | 145 | ფორტალეზა-სანტოსი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 139 | სან პაულუ-ბოტაფოგო | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 154 | რივერ პლეიტი-რამპლა | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 23:00 | 148 | სერო-პენიაროლი | 8.00 | 4.50 | 1.30 | 2.88 | 1.11 | 1.00 |
| 22:30 | 149 | კოლონია-როჩა | 3.70 | 3.30 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 155 | ტაკუარემბო-ლივერპული | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:30 | 153 | პაისანდუ-დანუბიო | 5.00 | 3.60 | 1.55 | 2.09 | 1.18 | 1.08 |
| 22:30 | 151 | მირამარი-დეფენსორი | 4.00 | 3.30 | 1.75 | 1.80 | 1.21 | 1.14 |
| 23:00 | 152 | ნასიონალი-სერიტო | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 17:10 | 156 | უონდერერსი-პლაზა | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 159 | კობრელოა-კოკიმბო | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:00 | 158 | კოლო კოლო-უაჩიპატო | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 23:30 | 160 | უნ.ჩილე-უნ.ესპანიოლა | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 23:45 | 161 | უნ.კატოლიკა-კონსეპსიონი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები.** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 18:15 | 356 | გერმანია-ნორვეგია | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 163 | მალავი-ბოტსვანა | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 18:30 | 167 | გაბონი-რუანდა | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 21:00 | 169 | სენეგალი-ტოგო | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 22:00 | 170 | ბურკინა ფასო-დრ კონგო | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 17:00 | 164 | ზამბია-მალი | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| 19:00 | 168 | ნიგერია-ანგოლა | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| 17:30 | 166 | უგანდა-კაბე ვერდე | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 162 | კენია-მაროკო | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 17:30 | 165 | სამხრეთ აფრიკა-განა | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 18:30 | 171 | კამერუნი-ლიბია | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 20:00 | 173 | კოტ დივუარი-ეგვიპტე | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 23:30 | 174 | ალჟირი-ზიმბაბვე | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 172 | ლიბერია-კონგო | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| | | **კონფედერაციის თასი** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 179 | ტუნისი-გერმანია | 9.00 | 4.20 | 1.30 | 2.86 | 1.13 | 1.00 |
| 22:45 | 180 | ავსტრალია-არგენტინა | 9.00 | 4.20 | 1.30 | 2.86 | 1.13 | 1.00 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 181 | მექსიკა-ბრაზილია | 6.50 | 3.50 | 1.50 | 2.27 | 1.21 | 1.04 |
| 20:00 | 182 | საბერძნეთი-იაპონია | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| | | **ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი.(20).** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 15:30 | 199 | არგენტინა(20)-გერმანია(20) | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 206 | ნიგერია(20)-შვეიცარია(20) | 2.60 | 3.10 | 2.50 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 203 | ბრაზილია(20)-სამხრეთ კორეა(20) | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| 18:00 | 205 | იტალია(20)-კანადა(20) | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 15:30 | 200 | იაპონია(20)-ავსტრალია(20) | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 18:00 | 204 | კოლუმბია(20)-ჩინეთი(20) | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 15:30 | 202 | აშშ(20)-ეგვიპტე(20) | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 201 | პოლანდია(20)-ბენინი(20) | 1.35 | 4.50 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.65 |

**ინტერტოტოს თასი**
**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 510 | სკალა-ტამპერე | 6.50 | 4.10 | 1.35 | 2.51 | 1.11 | 1.01 |
| 18:00 | 501 | არარატი-ქსამაქსი | 5.50 | 4.20 | 1.40 | 2.38 | 1.11 | 1.04 |
| 19:00 | 503 | ნიქოზია-გლორია | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 19:30 | 505 | სლავენი-დრავა | 1.40 | 4.20 | 5.50 | 1.04 | 1.11 | 2.38 |
| 19:30 | 506 | ტილიგული-პოგონი | 2.60 | 3.30 | 2.25 | 1.45 | 1.20 | 1.33 |
| 19:45 | 507 | ტრანსი-ლოკერენი | 5.00 | 4.20 | 1.45 | 2.28 | 1.12 | 1.07 |
| 21:00 | 509 | ვამში-დუბნიცა | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 22:00 | 512 | დინამო(ტირ)-ვარტექსი | 2.45 | 3.30 | 2.40 | 1.40 | 1.21 | 1.38 |
| 22:00 | 511 | ბოჰემიანი-გენტი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 20:00 | 508 | ვალეტა-ბუდუჩნოსტი | 5.20 | 3.70 | 1.50 | 2.16 | 1.16 | 1.06 |
| 17:30 | 500 | ბეიტარი-სილექსი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 19:00 | 504 | კლუჟი-ვეტრა | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 518 | სმედერევო-პობედა | 1.60 | 3.70 | 4.20 | 1.11 | 1.15 | 1.96 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 515 | ბანგორი-დინაბურგი | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | [illegible] |
| 17:00 | 514 | ჟალგირისი-ლისბერნი | 1.25 | 5.20 | 7.00 | 1.00 | 1.06 | [illegible] |
| 14:00 | 513 | რეინჯერსი(ანდ)-შტურმი | 10.00 | 6.00 | 1.15 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 20:00 | 519 | ინტერი ტურკუ-გრანესი | 1.40 | 4.00 | 6.00 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 20:00 | 520 | პაპა-ვიტ ჯორჯია | 1.60 | 3.80 | 4.20 | 1.12 | 1.15 | [illegible] |

**ფრენბურთი. კაცები**
**ევროლიგა.**
**18 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 20:00 | 348 | თურქეთი-სლოვაკეთი | 1.35 | 2.70 |
| 18:00 | 347 | რუსეთი-გერმანია | 1.15 | 4.00 |
| 17:00 | 346 | ფინეთი-ესტონეთი | 1.30 | 2.90 |
| 15:00 | 345 | ესპანეთი-ჩეხეთი | 1.55 | 2.05 |

**იტალია. სერია C1. პლეი ოფი**
**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 224 | აველინო-ნაპოლი | 2.80 | 2.50 | 2.70 | 1.32 | 1.37 | [illegible] |
| 18:00 | 223 | მანტოვა-პავია | 2.00 | 2.60 | 4.30 | 1.13 | 1.36 | [illegible] |

## ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16162 | კენია-მაროკო | 2.80 | 1.20 |
| 16163 | მალავი-ბოტსვანა | 1.40 | 2.20 |
| 16164 | ზამბია-მალი | 1.15 | 3.00 |
| 16165 | სამხრეთ აფრიკა-განა | 1.15 | 3.00 |
| 16166 | უგანდა-კაპე ვერდე | 1.60 | 1.75 |
| 16167 | გაბონი-რუანდა | 1.25 | 2.40 |
| 16168 | ნიგერია-ანგოლა | 1.02 | 5.00 |
| 16169 | სენეგალი-ტოგო | 1.10 | 4.00 |
| 16170 | ბურკინა ფასო-დრ კონგო | 1.65 | 1.85 |
| 16172 | ლიბერია-კონგო | 1.40 | 2.10 |
| 16173 | კოტ დიუარი-ეგვიპტე | 1.25 | 2.60 |
| 16174 | ალჟირი-ზიმბაბვე | 1.40 | 2.35 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13179 | ტუნისი-გერმანია | 1.90 | 1.70 |
| 13180 | ავსტრალია-არგენტინა | 1.90 | 1.70 |
| 13181 | მექსიკა-ბრაზილია | 1.70 | [illegible] |
| 13182 | საბერძნეთი-იაპონია | 1.70 | [illegible] |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12162 | კენია-მაროკო | 1.70 | 1.90 |
| 12163 | მალავი-ბოტსვანა | 1.70 | 1.90 |
| 12164 | ზამბია-მალი | 1.70 | 1.90 |
| 12165 | სამხრეთ აფრიკა-განა | 1.70 | 1.90 |
| 12166 | უგანდა-კაპე ვერდე | 1.70 | 1.90 |
| 12167 | გაბონი-რუანდა | 1.70 | 1.90 |
| 12169 | სენეგალი-ტოგო | 1.70 | 1.90 |
| 12170 | ბურკინა ფასო-დრ კონგო | 1.70 | 1.90 |
| 12171 | კამერუნი-ლიბია | 1.90 | 1.70 |
| 12172 | ლიბერია-კონგო | 1.70 | 1.90 |
| 12173 | კოტ დიუარი-ეგვიპტე | 1.70 | 1.90 |
| 12174 | ალჟირი-ზიმბაბვე | 1.70 | 1.90 |
| 12179 | ტუნისი-გერმანია | 2.00 | 1.60 |
| 12180 | ავსტრალია-არგენტინა | 2.00 | 1.60 |
| 12181 | მექსიკა-ბრაზილია | 1.90 | 1.70 |
| 12182 | საბერძნეთი-იაპონია | 1.60 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14162 | კენია-მაროკო | 2.20 | 1.60 |
| 14163 | მალავი-ბოტსვანა | 1.70 | 2.10 |
| 14164 | ზამბია-მალი | 1.40 | 2.30 |
| 14165 | სამხრეთ აფრიკა-განა | 1.40 | 2.30 |
| 14166 | უგანდა-კაპე ვერდე | 1.85 | 1.95 |
| 14167 | გაბონი-რუანდა | 1.65 | 2.20 |
| 14168 | ნიგერია-ანგოლა | 1.20 | 2.50 |
| 14169 | სენეგალი-ტოგო | 1.20 | 2.50 |
| 14170 | ბურკინა ფასო-დრ კონგო | 1.75 | 2.00 |
| 14171 | კამერუნი-ლიბია | 1.08 | 2.60 |
| 14172 | ლიბერია-კონგო | 1.70 | 2.10 |
| 14173 | კოტ დიუარი-ეგვიპტე | 1.65 | 2.30 |
| 14174 | ალჟირი-ზიმბაბვე | 1.70 | 2.10 |
| 14179 | ტუნისი-გერმანია | 2.50 | 1.10 |
| 14180 | ავსტრალია-არგენტინა | 2.50 | 1.10 |
| 14181 | მექსიკა-ბრაზილია | 2.50 | 1.25 |
| 14182 | საბერძნეთი-იაპონია | 1.60 | 2.00 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი
(0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17162 | კენია-მაროკო | 1.85 | [illegible] |
| 17163 | მალავი-ბოტსვანა | 1.85 | [illegible] |
| 17164 | ზამბია-მალი | 1.85 | [illegible] |
| 17165 | სამხრეთ აფრიკა-განა | 1.85 | [illegible] |
| 17166 | უგანდა-კაპე ვერდე | 1.85 | [illegible] |
| 17167 | გაბონი-რუანდა | 1.85 | [illegible] |
| 17168 | ნიგერია-ანგოლა | 1.85 | [illegible] |
| 17169 | სენეგალი-ტოგო | 1.85 | [illegible] |
| 17170 | ბურკინა ფასო-დრ კონგო | 1.85 | [illegible] |
| 17171 | კამერუნი-ლიბია | 1.85 | [illegible] |
| 17172 | ლიბერია-კონგო | 1.85 | [illegible] |
| 17173 | კოტ დიუარი-ეგვიპტე | 1.85 | [illegible] |
| 17174 | ალჟირი-ზიმბაბვე | 1.85 | [illegible] |
| 17179 | ტუნისი-გერმანია | 1.85 | [illegible] |
| 17180 | ავსტრალია-არგენტინა | 1.85 | [illegible] |
| 17181 | მექსიკა-ბრაზილია | 1.85 | [illegible] |
| 17182 | საბერძნეთი-იაპონია | 1.85 | [illegible] |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15162 | კენია-მაროკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | მალავი-ბოტსვანა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | ზამბია-მალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | სამხრეთ აფრიკა-განა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15166 | უგანდა-კაპე ვერდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | გაბონი-რუანდა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ნიგერია-ანგოლა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | სენეგალი-ტოგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | ბურკინა ფასო-დრ კონგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | კამერუნი-ლიბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ლიბერია-კონგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | კოტ დიუარი-ეგვიპტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ალჟირი-ზიმბაბვე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | ტუნისი-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | ავსტრალია-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | მექსიკა-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | საბერძნეთი-იაპონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11162 | კენია-მაროკო | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11163 | მალავი-ბოტსვანა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11164 | ზამბია-მალი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11165 | სამხრეთ აფრიკა-განა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11166 | უგანდა-კაპე ვერდე | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11167 | გაბონი-რუანდა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11168 | ნიგერია-ანგოლა | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | [illegible] |
| 11169 | სენეგალი-ტოგო | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11170 | ბურკინა ფასო-დრ კონგო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11172 | ლიბერია-კონგო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11173 | კოტ დიუარი-ეგვიპტე | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11174 | ალჟირი-ზიმბაბვე | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11179 | ტუნისი-გერმანია | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | [illegible] |
| 11180 | ავსტრალია-არგენტინა | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | [illegible] |
| 11181 | მექსიკა-ბრაზილია | 10.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | [illegible] |
| 11182 | საბერძნეთი-იაპონია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | [illegible] |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10162 | კენია-მაროკო | 4.30 | 2.00 | 2.20 | 1.36 | 1.45 | 1.04 |
| 10163 | მალავი-ბოტსვანა | 2.55 | 1.90 | 3.90 | 1.08 | 1.54 | 1.27 |
| 10164 | ზამბია-მალი | 2.05 | 2.10 | 5.10 | 1.03 | 1.46 | 1.48 |
| 10165 | სამხრეთ აფრიკა-განა | 2.15 | 2.10 | 4.50 | 1.06 | 1.45 | 1.43 |
| 10166 | უგანდა-კაპე ვერდე | 2.90 | 1.80 | 3.20 | 1.11 | 1.52 | 1.15 |
| 10167 | გაბონი-რუანდა | 2.50 | 2.00 | 3.90 | 1.11 | 1.52 | 1.32 |
| 10168 | ნიგერია-ანგოლა | 1.55 | 2.40 | 6.50 | 1.00 | 1.25 | 1.75 |
| 10169 | სენეგალი-ტოგო | 1.90 | 2.30 | 5.00 | 1.04 | 1.37 | 1.57 |
| 10170 | ბურკინა ფასო-დრ კონგო | 2.95 | 1.90 | 3.30 | 1.15 | 1.55 | 1.20 |
| 10171 | კამერუნი-ლიბია | 1.50 | 2.40 | 7.00 | 1.00 | 1.23 | 1.78 |
| 10172 | ლიბერია-კონგო | 2.60 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10173 | კოტ დიუარი-ეგვიპტე | 2.20 | 2.00 | 4.40 | 1.04 | 1.46 | 1.37 |
| 10174 | ალჟირი-ზიმბაბვე | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10179 | ტუნისი-გერმანია | 6.50 | 2.50 | 1.55 | 1.80 | 1.25 | 1.00 |
| 10180 | ავსტრალია-არგენტინა | 6.50 | 2.50 | 1.55 | 1.80 | 1.25 | 1.00 |
| 10181 | მექსიკა-ბრაზილია | 5.50 | 2.30 | 1.80 | 1.62 | 1.35 | 1.00 |
| 10182 | საბერძნეთი-იაპონია | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |

# აბა, ქართული ბურჯები, კარგ ფასში, იაფად

## ციკლიდან: ლელოები საფრანგეთში



გაიოზ თალაკვაძე
პარიზიდან
ავტორის ფოტოები

— პირველ გასვლაზე ვთამაშობდით, ქალაქს არ დავასახელებ, მაგრამ დასავლეთ საფრანგეთში იყო მგონი. ახალი სეზონის მოწმე ვაჩხდით: ერთი მაყურებელი ეკითხებოდა მეორეს, რა სპორტია ეს რაგბი? გუნდური ჭიდაობაა, მიიღო ავტორიტეტული პასუხი — ასიდებს აშვეთია. დასაწყისშივე დავწინაურდით და მატჩის ბოლოსკენ მთელი გუნდით დაცვაში ვიდექით. მასპინძლები ვეძალებოდნენ, მაგრამ მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ. თამაშის მერე ხალხი გვკოცნიდა, გვხვევდა. აქ ის იცნეს, ვინც თავს იცავდა.

მარტის „ლიდერში“ ვაჭარბებული ორი წლის შემდეგ დავით აშვეთია კლუბ სოშელის რეგიონული ფინალური „ერ სოურ ლალუნიდან“ გადმობარგდა და ერთი წელი ნახევარ I-ში იჩურთავა. შემდეგ ერთი წელი „ნიმში“ და ამჟამად ლექტნ (ცაბაძის მეგობრობით) მასპინძელ „მონტუბანში“ ასრულა თავი, რომელიც ახლა „კლერმონ-ოვერნიდან“ გადანათლული.

— როგორ მიგიღეს ოვერნიელებმა?

— შესანიშნავად. ლიონსიის უკვე ცელის პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული და მეორე ქართველსაც კარგად შეხვდნენ. ასე, ერთ სასაცილო ამბავს გიამბობ. ახალი ჩამოსული ვარ და ლეონსიოსთან ერთად ქალაქის ცენტრში, კაფეში ვსხედვართ. ჩვენს უკან რუსული ლაპარაკს მოვკარით ყური და ლევანი შეეხმიანა:

— „ვი რუსკიე?“

— „ნეტ, მაია პადრუგა რუსკაია, აია გრუზინკა“ ამხელა კაცი ისე დაიბნა შუაგულ საფრანგეთში ქართველის შეხვედრამ, ქართული სულ დაავიწყდა:

— „ა ბიჩ? ვუ ზეტ გრუზინკა?“ მართლა? ქართველი ხართ?! — გაოცებულმა ჩაფრანგულ-ჩარუსულა და იქ უნდა გენახა ჩვენი ხარხარი.

— გუნდს როგორლა შეეწყვე?

— თავიდან ძირითადად ლევანის შემცვლელად ვიყავი, სამ ნომერზე ვთამაშობდით ორივე, თუმც ხშირად ორივეს ერთად გვიწევდა მოედანზე გასვლა.

— ქართველებს ყველაზე მეტად მარჯვენა ბურჯად ათამაშებენ ჯანის გამოო, ამბობ. ვინც რაგბიში კარგად ვერ ერკვევა, გაუჭირდება მიხვედრა — რატომ, აგვიხსენი.

— შერკინებაში შესვლისას სამი ნომერი მოწინააღმდეგის პირველსა და ორს შორის ხვდება და ყველაზე მეტი დატვირთვაც მასზე მოდის. აქაურებს ამ პოზიციაზე ძლიერი მორაგბეები თითქმის არ ჰყავთ და ჩვენებურებს, რუმინელებს და სხვა უცხოელებს ეძებენ.

— არა, ჯანი შესახედად ნამდვილად არც შენ გაკლია და არც ცაბაძეს, მაგრამ განა მართლა ასეთი დიდი სხვაობაა თქვენსა და ფრანგებს შორის?

— ერთ ამბავს გავიხსენებ. ფიზიკური ტესტები გვქონდა, რომელსაც საფარნგეთის ძიუდოისტთა ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი ჰვიტარებდა. ძალოსნობის დარბაზში ხუთ იარაღზე უნდა გვეცადა ჩვენი ძალა. ჯამში რაც შეუძლებოდა მეტი უნდა აგვეწია, მაგალითად, ასკილოგრამიან „შტანგას“ ათჯერ თუ აწევდი, ერთი ტონა გეთვლებოდა. ჰოდა, პირველ ადგილზე ლეონსიო გავიდა 30 ტონით (!), მეორე მე ვიყავი 22 ტონით. მესამე ადგილზე გასული დავიდ ბორი 4 ტონით ჩამომრჩა, მწვრთნელმა კი 15 ტონაც ვერ მოაგროვა. ჩვენთან ამხელა ჩამორჩენას ნამდვილად არ ელოდა და გამწარებული გაეცალა ჩვენს ხუმრობებს.

— თავიდან კარგად დაწყებული კარიერა „კლერმონ-ოვერნში“ ცუდად გაგიგრძელდათ...

— მწვრთნელი ლორან ტრავერი, რომელმაც აქ გადმოგვიყვანა, ალენ იარდემ შეცვალა. მან რატომღაც ორივე აგვითვალწუნა და ძირითად შემადგენლობას მოგვაცილა. რეზერვში და ვარჯიშებზე ვცდილობდით ჩვენი ძალის დამტკიცებას და ამის გამო ჩვენთან შერკინება არც თანაგუნდელებს უნდოდათ და არც მეტოქეებს.

დავითის სიტყვები „კლერმონ-ოვერნის“ გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტმა ალენ ნერონმა დამიდასტურა სეზონის დასრულების და ევროთასზე გასვლისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე: „ვარჯიშებზე ყველა ხედავდა, ქართული პირველი ხაზი ძირითადებს ყოველი შერკინებისას რამდენიმე მეტრზე ათრევდა, მაგრამ მას იარდე თითქოს ვერ ამჩნევდა“. მისმა არაობიექტურობამ მალე გამოიღო შედეგი და წინა სეზონის ჩავლების შემდეგ ესეც საშინლად დავიწყეთ.

*ამ სიტყვებს იმას დავამატებდი, რომ იარდეს ქცევამ ცაბაძეს სამუდამოდ აყრევინა რაგბიზე გული და მისი კარიერაც ნაადრევად დასრულდა, აშვეთიამ კი ვარჯიშებზე და სარეზერვო გუნდში ზედმეტი გულმოდგინებისგან საშინელი ტრავმა მიიღო:*

— მარცხენა ბარძაყის კუნთი გამიწყდა 12 სანტიმეტრზე. ამის გამო თითქმის ერთწლიანი მკურნალობა დამჭირდა და მთელი სეზონიც გამიცდა.

— თუ იარდე ასეთი ცუდი მწვრთნელი იყო, რატომ აჩერებდნენ?

— ცოტა დრო მაინც მისცეს, მაგრამ როცა სეზონის დასაწყისში ბოლოსწინა ადგილის მფლობელი ვიყავით, აღარ მოუთმინეს და ოლივიე სეისეთი შეცვალეს.

— ქართველებისთვის რა შეიცვალა? (ცაბაძე ამ დროისთვის გოდერძი შველიძემ შეცვალა, სეზონის მეორე ნახევარში კი დავით ზერაქაშვილიც გადმოვიდა.)

— თქვენი იმედი მაქვსო, სულ გვეუბნებოდა. გოდერძის ძირითადში ათამაშებდა და ჩემს გამოჯანმრთელებას ელოდა, მაგრამ ტრავმა ისეთი მქონდა... მხოლოდ ბოლოს მოვახერხე სარეზერვო გუნდში სამი თამაშის ჩატარება, ოღონდ უკვე ნახევარი ძალით, კიდევ რამე რომ არ მომსვლოდა.

— „მონტუბანიც“ ამ დროს დაგიკავშირდა?

— უფრო სწორად მისი ახალი მწვრთნელი ლორან ტრავერი, რომელმაც ჩემს გარდა კლერმონიდან ახალკალედონიელი ლიონელ ვატანაკი და ფრანგი მარკ რეიმე მიიწვია და ახალი სეზონიდან ტოპ 14-ში გადმოსასვლელად ბრძოლას გეგმავს.

ისე, „მონტუბანს“ წლევანდელი შეეძლო მიზნის მიღწევა, მაგრამ „ტულონმა“ ცოტათი აჯობა. ელიტაში კი, გუნდების 16-დან 14-მდე შემცირების გამო, მხოლოდ ერთი გუნდი გადმოდიოდა, მეორე-მესამე ადგილებს ერთმანეთში უნდა ეთამაშათ და უძლიერესი შემდეგ „პოს“ (ტოპ 16-ის მე 13 ადგილი) უნდა შეხვედროდა, მაგრამ „მონტუბანმა“ ნახევარფინალში „ორიაკთან“ წააგო.

— სხვა ქართველიც თუ იქნება შენთან ერთად?

— ავთო კოპალიანი გადმოდგანეს „შალონიდან“, გაგვეცინება, აქაც სამი ნომერია.

— აბა, თქვენ იცით, მაწყენთ და მაწყენთ.

***

*ბოლოს კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ მაინც როგორ დაუფასებლები არიან ჩვენი ბიჭები უცხო მიწაზე თავიანთი ლიდერების მოუხედავად.*

*როდესაც დათო აშვეთიას „მონტუბანის“ დამრიგებელი ლორან ტრავერი დაუკავშირდა და მისი ბიჭზეც შეუთანხმდა, ქართველს სთხოვა, მის აგენტ შეხმიანებოდა კონტრაქტის გასაფორმებლად. ჰოდა, ცოტა ხანში აგენტმა აიღო, ეს ახალი ამბავი იყო, დაურეკა აშვეთიას და „ახალი“ კონტრაქტი გავიხარე. ჩვენებურს ხელფასი ჰქონდა და აღნიშნა, გაცილებით ნაკლებ თანხაზე ურიგდებოდა აგენტი კლუბს, ვიდრე თავად კლუბმა შესთავაზა ქართველს.*

*შეიძლება, ვფიქრობ, გამოუცდელობის ბრალიაო, მაგრამ ეს აგენტი აბსოლუტურად საფრანგეთში მოთამაშე თითქმის ყველა ქართველი მორაგბის წარმომადგენელიცაა. რა არის ეს, თუ არა სრული იგნორირება ქართველი მორაგბეების ინტერესებისა?*

*იმედი ვიქონიოთ, „ლელოები“ თავიანთი წარმატებული თამაშით (ევროპულის ყველაზე, სახელგანთქმულ დონეზე, თორემ სხვანაირად გამორჩენა) შეძლებენ ამ დამოკიდებულების შეცვლას.*



დავით აშვეთია შვილის მორაგბეობაზეც ოცნებობს

ქართველები ძირითადად თავიანთი ჯანის გამო ფასდებიან და ამიტომაც საფრანგეთში ფეხის მოკიდება ყველაზე მეტად ბურჯებს უადვილდებათ. ფრანგებს განსაკუთრებით მარჯვენა ბურჯებზე აქვეთ ტაციაობა, ამბობს დავით აშვეთია, რომელიც უკვე ხუთი წელიწადია, რაც საფრანგეთში თამაშობს.

სანამ დავითის ფრანგულ კარიერაზე ვისაუბრებდეთ, ცოტა უკან გადავინაცვლოთ დროში და მის ქართულ ნაწილზე ვთქვათ.

რაგბის ანბანი, არავის გაუკვირდება, ქუთაისელმა ბიჭმა „აიაში“ ისწავლა, სადაც 1990 წელს 15 წლისა მივიდა და 1998 წლამდე დარჩა. ამ პერიოდში ძლიერდებოდა სწორედ ქართული რაგბი, ქართული სახელმწიფოსგან განსხვავებით, მაგრამ ბევრმა მაინც არ იცოდა ამ სპორტის ავან ჩავანი, მიუხედავად „აიას“ მიერ 80-იან წლებში რამდენჯერმე მოპოვებული საბჭოეთის ჩემპიონობისა



# ბოისა კრალია!

## ოლიმპიას ჩემპიონობაში ჯორჯიას ხელიც ურევია





ვლადიმერ ბოისამ და მანუჩარ მარკოშვილმა „ოლიმპია“ სლოვენიაში გააჩემპიონეს

*ვლადიმერ ბოისა საკალათბურთო გაგებით დღეს პირველი კაცია სლოვენიაში. მან გუშინწინ ლაზათიანი წერტილი დაუსვა თავის ბრწყინვალე სეზონს, როცა სლოვენიის ჩემპიონატის ფინალური სერიის მეხუთე, გადამწყვეტ მატჩში მოქიშპე „სლოვანს“ 32 ქულა აართვა და „ოლიმპია“ აჩემპიონა. ამ გუნდთან შვიდწლიანი კონტრაქტი ბოისას სწორედ საჩემპიონო მატჩის შემდეგ დაუსრულდა, მაგრამ ლიუბლიანას არ სურს ვოვას დათმობა და ამის დასტურად ათობით ქომაგის ცრემლიც კმარა. „საჩემპიონო ორომტრიალისა და ზეიმის დროს ქომაგთა ჯგუფი შემომეხვია. ყველა ჩემთან მოახლოებას და ჩახუტებას ცდილობდა. ისინი გაიძახოდნენ, ბოისა, არ დაგვტოვოო და თვალებიდან ცრემლები სდიოდათ“ — გვითხრა სლოვენიური სუპერფინალის ტრიუმფატორმა გუშინ, როცა ლიუბლიანაში შევეხმიანეთ...*

**— გადამწყვეტ მატჩში 32 ქულა. მეტს ალბათ ვერც ინატრებდი...**

— დიდებულია. ისეთი გახარებული და კმაყოფილი ვარ, მეტი რომ არ შეიძლება. ეს არის ჩემი კარიერის პიკი. ამაზე დიდი გამარჯვება არც არასდროს მომიპოვებია და ასეთი მშვენიერი განცდაც არასდროს მქონია.

**— ბედნიერი კაცი ყოფილხარ...**

— აბა, რა, ბედნიერი ვარ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემპიონი გავხდი. მე დავინახე, რომ სლოვენიაში ხალხს ვუყვარვარ. აქამდეც ვიცოდი ეს, მაგრამ თუ ასეთი მასობრივი ხასიათი ჰქონდა ამას, ვერ წარმომედგინა.

**— „ოლიმპიას“ ქომაგებზე ამბობ ამას?**

— არა მარტო მათზე. „ოლიმპიას“ ქომაგებზე ლაპარაკი ზედმეტია, ყველას ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ისინი არ მაფასებენ. თითქმის ყველა გაზეთი და ტელეარხი „ოლიმპიას“ ჩემპიონობის ამბავს ჩემს სამადლობელ სიტყვებს მიაყოლებს. აზრი ერთია: „გმადლობთ, ბოისა, რაც შენ სოლვენიური კალათბურთისთვის გააკეთე ამ შვიდი წლის განმავლობაში.“ მე აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სამშობლოში. ყველა სლოვენიელად მთვლის, საკუთარ სისხლად და ხორცად მივაჩნივარ. მადლობა ღმერთს, რომ ჩემი ცხოვრება ასე აეწყო და სათამაშოდ სლოვენიაში წამოვედი.

**— ერთ-ორი სიტყვა თამაშზეც გვითხარი...**

— საკმაოდ დაძაბული მატჩი გამოდგა. „სლოვანი“ ბოლო მეოთხედამდე გვიწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ მაინც გავტეხეთ. თამაშის ბედი სირენამდე საკმაოდ დროით ადრე გაირკვა და მეც ბოლო წუთნახევარი არ მითამაშია. მოჭარბებული ემოციების გამო ტირილი მომინდა. უბედნიერესი კაცი ვიყავი იმ მომენტში და ველარ გავუძელი ამხელა სიხარულს. მწვრთნელს ვთხოვე, შემცვალე-მეთქი.

**— ჩემპიონობა ხმაურიანად აღნიშნეთ?**

— თავისთავად. „ოლიმპიას“ ქომაგებს ჩემი მაისურები ეცვათ და ზედ ეწერათ, გმადლობთ, ბოისა, ყველაფრისთვის. მთელი ეს ხალხი თამაშის დასრულების შემდეგ მოედანზე შემოცვივდა და კარგად აღარც მახსოვს, როგორ დავრჩი მაისურის და შორტის გარეშე. ტრუსების ამარა დაგვტოვეს რამდენიმე მოთამაშე, მაგრამ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას, იმხელა იყო ოლიმპიელთა სიხარული.

**— მანუჩარ მარკოიშვილი სადღა იყო?**

— მანუჩარმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს გამარჯვებაში. მან ხელი არ გაანძრევინა „სლოვანის“ ლიდერ სიმონ პეტროვს, რომელმაც წინა მატჩებში დიდი პრობლემები შეგვიქმნა. მარკოიშვილი ყოჩაღად მეურვეობდა პეტროვს და ის საბოლოოდ 5 ქულას დააჯერა. „მანომ“ შეტევაშიც წაგვაშველა ხელი და კრიტიკულ ეპიზოდში უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო. მას საბოლოოდ 7 ქულა დაუგროვდა.

*ბოისას შემდეგ მარკოიშვილსაც შევეხმიანეთ, რომელიც შედარებით თავდაჭერილი ჩანდა...*

— უკმაყოფილო არ ვარ ჩემი თამაშით. მწვრთნელის [illegible] შეძლებისდაგვარად შევასრულე [illegible] ხარია, რომ ჩემი წვლილი [illegible] გამარჯვებაში.

**— ბოისამ თქვა, რომ შენი წვლილი საკმაოდ მნიშვნელოვანია...**

— მწვრთნელს რომ [illegible] შევყავდი, მითხრა, [illegible] დაანგრიე პეტროვიო.

**— ჯორჯიაო?**

— ჰო, ეს ჩემი მეტსახელია [illegible] კი საქართველოდან [illegible] მართლაც სახიფათო [illegible] მიხარია, მისი [illegible] შევძელი.

**— საჩემპიონო ბანკეტი [illegible]ნდათ?**

— შამპანიური [illegible] მიიტანეს და ქომაგებთან [illegible] დავლიეთ. ქეიფი ბოისას [illegible] ბარში გავაგრძელეთ, საღამოს [illegible]ლის 6 საათამდე ვიყავით.

**— ბოისას ალბათ ყველაზე მეტად ემადლიერებიან „ოლიმპიას“ ფანები...**

— ბოისა კრალია. [illegible] სლოვენიურად მეფეს ნიშნავს [illegible] აქ მართლაც მეფესავითაა [illegible] სთან ერთად ქუჩაში გასვლა [illegible] ტანჯვაა. ყოველ ფეხის [illegible] ნაცნობი თუ არ შეხვდა, [illegible] ად უცხო ვინმე [illegible] და მე კარგა ხანს [illegible]

**— ვოვასი არ იცის, შენც [illegible] გეწურა „ოლიმპიასთან“ კონტრაქტი. ახლა რას აპირებ?**

— ნამდვილად არ [illegible] ვერ იქნება ახლა [illegible] ხს ველოდები. [illegible] ებული და რასაც [illegible] იმას გავაკეთებ. „ოლიმპია“ [illegible] არ წამიყვანს, „ოლიმპიას“ [illegible] მომავალიც გაურკვეველია [illegible] რობით ვერაფერს [illegible]

*ბოისამაც არ დაკონკრეტა [illegible] ვისი სავარაუდო ახალი [illegible] ის კი გვითხრა, რომ [illegible] მონაწილე იტალიურ [illegible] აწარმოებს მოლაპარაკებას.*

**ირაკლი პერტაია**

---

**სან ანტონიო 102:71 დეტროიტი**

**23:17 28:19 23:21 28:14**

**დეტროიტი:** ბილაფსი (17), ჰამილტონი (12), პრინსი (13), რ. უოლესი (14), ბ. უოლესი (11); ჰანტერი (11), მაკდაიესი (13), აროიო (3), მილიჩიჩი (2), ჰემი

**სან ანტონიო:** პარკერი (12), ჯინობილი (12), ბოუენი (6), მოჰამედი (4), დანკანი (16); ბრაუნი (8), ჰორი (5), უდრიპი (5), ბერი (3), ნესტეროვიჩი, მასენბურგი

# სან ანტონიო 2:2 დეტროიტი

17 ივნისი. დეტროიტი. ოუბორნ ჰილი. 22 076 მაყურებელი

# სან ანტონიო დეტროიტმა დატორა

## ბრაუნის საუკეთესო და პოპოვიჩის სამარცხვინო მატჩი

**„დეტროიტ პისტონსმა“** ჯერ კიდევ შარშან დაამტკიცა, რომ გუნდურ თამაშში ბადალი არ ჰყავს. მაშინ მიჩიგანელებმა ნბა-ს ფინალში ორი სუპერვარსკვლავის — შაკილ ონილისა და კობი ბრაიანტის „ლეიკერსი“ გადათელეს და ახლაც დაახლოებით ასეთი ხასიათის მეტოქესთან იცავენ ტიტულს.

„სან ანტონიო“ ბოლო წლებში ტიმ დანკანის გუნდი იყო, თუმც ახლა მას მეორე წინამძღოლიც გამოუჩნდა — ემანუელ ჯინობილი. თუ ამ ორ მოთამაშეს გააჩერებენ, „სან ანტონიო“ ისეთი მორჩილი გუნდი ხდება, როგორც ის ფინალური სერიის განვლილ მატჩში იყო.

მორჩილი კი არა, „სან ანტონიო“ თითქოს საერთოდ არ იყო გუნდი. ფინალური სერიის მეოთხე დეტროიტულ შეხლაში მასპინძლებმა ისე შეარცხვინეს ტეხასელები, ისე გააბითურეს, გრეგ პოპოვიჩს გვარიანი ჯაფა დაადგება, რომ თავის სამწყსოს როგორმე თვითრწმენა დაუბრუნოს.

სწორედ გუნდური თამაშის წყალობით გააცმატვერეს დეტროიტელებმა მეტოქე. ლარი ბრაუნის ბიჭებმა სანანტონიელები 31 ქულით დაამარცხეს და თან 100-ქულიან ზღვარსაც გადააბიჯეს, ოღონდ „დეტროიტს“ გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლია. ერთბაშად შვიდი მიჩიგანელი ასცდა 10-ქულიან თამასას, თუმც 20-ისთვის ერთ მათგანსაც არ მიუღწევია.

მცირეოდენ სტატისტიკას მოვიშველიებთ და ყველაფერი ნათელი გახდება. დეტროიტელებმა მხოლოდ 3 ბურთი დაკარგეს სანანტონიელების 17-ის წილ, ხოლო ჩაჭრებში მასპინძლებმა 13:1 იძალეს. ეს იყო „სფურზის“ უსიტყვო კაპიტულაცია და პოპოვიჩმაც ზუსტად შენიშნა შესვენებაზე — „ეს არის ყველაზე ცუდი პირველი ტაიმი ჩემს მეხსიერებაში, რაც კი ოდესმე პლეი ოფში გუნდს უთამაშია“.



რაშიდ უოლესმა (მარჯვნივ) ტიმ დანკანს გასაქანი არ მისცა

დეტროიტელთა გრძნეული თაკაცი ლარი ბრაუნი კი, ცხადია, საპირისპიროს ამბობდა თავის გუნდზე: „ჩვენ ფენომენალურად ვითამაშეთ ამ საღამოს. ალალად ვამბობ, რომ საპლეიფო მატჩებში ეს არის ყველაზე საამაყო და კლასიკური გამარჯვება, რომელშიც მე ვმონაწილეობდი. ეს იყო ჩემი გუნდის მაქსიმუმი, ის, რაც რეალურად შეუძლია „დეტროიტ პისტონსს“.

როცა მეტოქის ლიდერებს გაბაწრავ და გასაქანს არ მისცემ, მერე სათადარიგოებისთვისაც [illegible] ხდება ქულების გროვება [illegible] ნკანის გაუვნებლობა რაშიდ [illegible] უოლესებმა ითავეს, ხოლო ჯინობილი ხან ტაიშონ პრინსისგან იზრდილებოდა და ხან რიპ ჰამილტონისგან. ლორენს ჰანტერი [illegible] რეგულარულ ჩემპიონატში [illegible] ქულა უხვეჭია საშუალოდ, [illegible] წინდელ მატჩში „სან ანტონიოს“ ერთბაშად 17 ჩააჭედა. პოპოვიჩის გუნდმა არ იცოდა, ვისზე [illegible] ტანა აქცენტი და ვისგან [illegible] თავი — ყველა დეტროიტელი, [illegible] საც ხელს დაადებდი, [illegible]ლი იყო იმ საღამოს.

ერთადერთი ეპიზოდი, როცა „სან ანტონიოს“ საქმე კარგად [illegible] და, საწყისი წამები იყო. [illegible]ლები 4:0 იგებდნენ და, [illegible] თავში სერიაში 3:0 [illegible] ტკბილი ფიქრებიც [illegible] მაგრამ... „დეტროიტი“ [illegible] აბობოქრდა, ჯერ ლიდერობა [illegible] პოვა, მერე 10 ქულით [illegible] და... ერთი სიტყვით, მთელი [illegible] ში „სან ანტონიოს“ [illegible] ამბების ქრონიკა გახლავთ.

სერიაში ანგარიში [illegible] ბარია. „სან ანტონიოს“ [illegible] ანი ჰანდიკაპი აღარ არის [illegible] პირიქით, მორალურ-ფსიქოლოგიური სადავეები დეტროიტელებს უპყრიათ.

**ირაკლი პერტაია**

# თქვენ გელით ლუიჯი რიდოლფი

## ფლორენციაში ორი დღე ბევრ ვარსკვლავს იტევს

**მძლეოსნობის** ევროთასზე ამბობენ, რომ მას აგვისტოში, ჰელსინკიში დანიშნული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გენერალური რეპეტიციის როლი აქვს ნატვირთი და ამიტომაცაა ფლორენციაში მხოლოდ ძლიერი სპორტსმენები კი არა, ძლიერი გუნდებიც რომ შეიკრიბნენ. კერძოდ, აქ არიან კაცთა ჩემპიონი გერმანელები და ქალთა ჩემპიონი რუსები, ხოლო ფრანგებს, იტალიელებს და პოლონელებს, ორივე სქესის გუნდი ჰყავთ „სტადიონ ლუიჯი რიდოლფიზე" საასპარეზოდ გამზადებული. იტალიაში მხოლოდ კაცთა გუნდები ჩაიყვანეს ჩეხებმა, ბრიტანელებმა და ესპანელებმა, მხოლოდ ქალებისა კი ბელორუსებმა, რუმინელებმა და უკრაინელებმა.

„სხვა შეჯიბრება, რომელიც ორ დღეში ამდენ ძლიერ სპორტსმენს ერთ სტადიონზე მოუყრის თავს, არ არსებობს — ამბობს ჰანსიორგ ვირცი, ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის პრეზიდენტი, — აქ გაერთიანებულია სხვადასხვა ხასიათის დისციპლინები, თანაც მისი განსაკუთრებული პლუსი ის არის, რომ ამა თუ იმ კერძოდ აღებულ ეროვნულ ფედერაციას შეუძლია ყველა სახეობაში გამოიყვანოს მონაწილე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნებისმიერ ქვეყანას უფლება აქვს გამოიყვანოს ერთი ძალიან დაწინაურებული უკლებლივ ყველა დისციპლინის წარმომადგენლით დაკომპლექტებული."



ფეონა მეი





რალფ ბარტელსი

სხვათა შორის, სტატისტიკა გვამცნობს, რომ ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე ევროპამ 22 ოქროს, 20 ვერცხლის და 25 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რაც მედალთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი გახლდათ.

დავუბრუნდეთ ფლორენციას. გერმანიამ როგორც ქალთა, ასევე კაცთა გუნდებში საუკეთესო ათლეტები შეიყვანა. ცნობილი ფაქტია, ამ ქვეყნისთვის ევროპის თასი განსაკუთრებული მნიშვნელობის შეჯიბრებაა, რასაც მისი ადრინდელი ზედიზედ ორგზის-ორმაგი ჩემპიონობაც (1994 და 1996) ადასტურებს. მიმომხილველები ამბობენ, რომ კაცთა გუნდიდან რამდენიმეს ქულათა მაქსიმუმის ანუ ორი ქულის მოპოვებაც შეუძლია. ერთ-ერთი მათგანია ბირთვის მტყორცნელი რალფ ბარტელსი, რომელმაც მიმდინარე სეზონში 21,36 მეტრის მიაღწია.

ბარტელსის გარდა გერმანელებს ჰყავთ ჩინებულ ფორმაში მყოფი რენე ჰერმსი, 23 წლამდელთა შორის 800 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონი, აგრეთვე ევროპის ჩემპიონი დარბაზში 200 მეტრზე რბენაში ტობიას იუნგერი და სიგრძეზე მხტომელი ნილს ვინტერი.

რაც შეეხებათ გერმანელ ქალებს, ისინი ბოლო ხუთი ევროთასიდან ოთხში მეორეზე გავიდნენ. პირველები სულ რუსები იყვნენ.

დავაზუსტოთ: რუსები პირველზე გადიან არა მხოლოდ ხსენებული ხუთი წლის განმავლობაში, არამედ თუ წლეულსაც გაიმარჯვებენ, ზედიზედ ცხრაგზის ჩემპიონები გახდებიან.

ფრანგები კაცთა შორის იყვნენ ჩემპიონები ორი წლის წინათ. ახლა მათ გუნდში რამდენიმე ძალიან სერიოზული სპორტსმენია, ამ ქვეყნის ქალბატონები კი ბოლო შვიდი წელიწადია მესამეზე გადიან და რა გასაკვირია წლეულსაც პოდიუმს რომ უმიზნებდნენ.

მასპინძლებს, იტალიელებს თავიანთ მთავარ ფიგურებად შუბის ტყორცნაში მსოფლიოს ჩემპიონი ჯუზეპე ჯიბილისკო და ადგილობრივთა საყვარელი სიგრძეზე მხტომელი ფეონა მეი ესახებათ.

**ტუტა სიხარულიძე**

ძალოსნობა





# მუთლუს საქმე წაიმურდლა

**ძალოსნობაში** სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, თურქი ჰალილ მუთლუ ორი წლით ჩამოშორდება სარბიელს, ოღონდ ნუ აკითხავთ, რატომ იმიტომ, რომ ანაბოლურ სტეროიდებს ეტანებოდა და ერთ-ერთმა ტესტმა ეს ამბავი აღმოაჩინა.

დავაზუსტოთ, ლაპარაკია ნანდროლონზე, რომელიც მსოფლიო სპორტის ცხოვრებას ბოლო წლებში ლაიტმოტივად გასდევს.

თურმე მუთლუ აპრილში, სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, 62 კილოგრამიან კატეგორიაში, სამ ოქროსა და ეგრეთწოდებულ „პატარა ოქროს" სახელს წამლებით გამხნევებული იგებდა.

ანთალიის ახალი ამბების სააგენტოს ცნობით, თურქეთის ძალოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე ჰასან აქუზმა განაცხადა:

„მუთლუ სავარაუდოდ ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება. ჩვენ ერთადერთი ის დაგვრჩენია, რომ სადისციპლინო კომიტეტს შებრალება და ვადის შემცირება ვთხოვოთ."

თავად მუთლუ კატეგორიულად აცხადებს, რომ განზრახ არანაირ ნანდროლონს არ მიჰკარებია:

„შეგნებულად დოპინგს ცხოვრებაში არ მივკარებივარ, გაუცნობიერებლად კი შესაძლოა რაღაც მართლაც მივიღე და თუ ასეა, ბოდიშს ვიხდი."

**ტუტა სიხარულიძე**

# მოდით, ყველამ ვირბინოთ

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სეოკ-ის თბილისის ორგანიზაცია, დედაქალაქის სპორტის სამსახური და ფირმა „კოკა-კოლა" საერთაშორისო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით გიწვევთ გარბენში მონაწილეობის მისაღებად.

გარბენი 26 ივნისს, კვირას 10 საათზე აილებს სტარტს ჭავჭავაძის პროსპექტზე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსთან, ფინიში კი იქნება თავისუფლების მოედანზე.

გარბენის პირველ 2 500 მონაწილეს, რომელიც გამოცხადდება სტარტზე, გადაეცემა ოლიმპიური მაისურა და „ბენდენა", ხოლო ფინიშზე მისულნი დაჯილდოვდებიან სუვენირებით.

გარბენში მონაწილეობის მსურველებმა მიმართეთ თბილისის სპორტის სამსახურს 24 ივნისამდე.

ოლიმპიზმი

# პეკინს მონდომებას უქებენ

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტი დიდ შეფასებას აძლევს 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ჩინელთა მონდომებას — იუწყება გაზეთი „ჩაინა დეილი".

გასულ კვირას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომიტეტი გასვლით პლენარულ სესიას მართავდა პეკინში. კომიტეტის თავჯდომარე ჰაი ვერბრიუგენის თქმით, პეკინში ყველა წინაპირობაა ოლიმპიური თამაშების წარმატებით სამასპინძლოდ.

„ობიექტების მშენებლობა განრიგის მიხედვით მიმდინარეობს და ყველაფერი დათქმულ დროს აშენდება" — თქვა ვერბრიუგენმა.

ვერბრიუგენმა ისიც განაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტი გაიზრდება.

„თუმცა, ეს ბიუჯეტი არ გადააჭარბებს ათენის ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტს და ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რომ ფინანსური თვალსაზრისით აქ ყველაფერი დადებითად გადაწყდება" — დასძინა მან.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მონაცემებით, ათენის ოლიმპიური თამაშების ხარჯებმა 1, 967 მილიარდი ევრო შეადგინა.

პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ცზიან სიაუიმ თქვა, რომ 2008 წლის თამაშების ლოზუნგი ოფიციალურად გამოცხადდება ივნისის ბოლოს, თამაშების სიმბოლოს კი სავარაუდოდ 2005 წლის მეორე ნახევარში აირჩევენ.

აქამდე იუწყებოდნენ, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად ჩინელთა დიდი უმრავლესობა პეკინის ოლიმპიური თამაშების სიმბოლოდ მხარს უჭერდა ტიბეტური ანტილოპას არჩევას.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# მილიარდები საპეკინოდ

**პეკინის** განვითარებისა და რეფორმის მუნიციპალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ქალაქის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გეგმა და მასთან დაკავშირებული ხარჯები. სხვადასხვა გეგმებთან და პროექტებთან ერთად იყო 2008 წელს პეკინში გასამართი ოლიმპიური თამაშების სარბიელთა მშენებლობათა პროექტებიც.

მხოლოდ წლეულს ახალი სტადიონებისა და სპორტული ბაზების მშენებლობისთვის პეკინს განუზრახავს დახარჯოს 12,2 მილიარდი იენი, მთლიანობაში კი ოლიმპიური ბაზების მშენებლობისთვის 30,7 მილიარდია გამოყოფილია.



## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

კიშინიოვი. მოლდოვა. 10-25 ივნისი

VI ტური

| | | |
|---|---|---|
| ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 0:1 | ქეთინო კახიანი-გერშინსკა (გერმანია) |
| ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 1:0 | ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) |
| ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) | 1:0 | ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი) |
| ნინო ხურციძე (საქართველო) | 1:0 | იოვანა პუხკა (ინგლისი) |
| ტატიანა კონონენკო (უკრაინა) | 1:0 | მაკა ფურცელაძე (საქართველო) |
| თამარ წერეთელი (საქართველო) | 0,5:0,5 | ელიზაბეთ პაეცი (გერმანია) |
| მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 1:0 | პეტრა შურმანი (ჰოლანდია) |
| ზუზანა ჰაგაროვა (სლოვაკეთი) | 0,5:0,5 | სოფო გვეტაძე (საქართველო) |
| ანა მათნაძე (საქართველო) | 0:1 | ევგენია დულუხანოვა (უკრაინა) |

# ორი ქართველი ხუთიანებით ხუთიანში მოხვდა


ქეთევან არახამია-გრანტი

**მეექვსე ტურის** შემდეგ ლიდერთა შორის ორი ქართველი გამოჩნდა. ლელა ჯავახიშვილი და ქეთევან არახამია-გრანტი სხვა სამ მოჭადრაკესთან ერთად ხუთი ქულით პირველ ადგილზე არიან გამაგრებულნი. საუკეთესო ხუთეულშია ქეთინო კახიანი-გერშინსკაც, თუმც იგი კარგა ხანია, რაც გერმანიის სახელით ასპარეზობს.

ამ ტურამდე შეჯიბრს 4,5 ქულით ერთპიროვნულად 16 წლის უკრაინელი კატერინ ლანო ლიდერობდა, თუმც შემდეგ რუს ნადეჟდა კოსინცევას თეთრი ფიგურებით ვერ მოუგო და ოთხი მდევარიც წამოეწია.

აღსანიშნავია, რომ წინა ტურში ლანომ ნადეჟდას დას, ჩემპიონატის ფავორიტ ტატიანას მოუგო და პირველ ადგილზეც ასე წამოსკუპდა. როგორც ჩანს, მომდევნო ტურში ნადეჟდამ დის მაგივრად იძია შური.

ჯავახიშვილმა და ჩემპიონატის მეექვსე ნომერმა ჩმილიტემ ძველინდური დაცვა გაითამაშეს. მეტოქეები დებიუტში ფიგურების განვითარებას შეუდგნენ. მანევრებში ჩვენებურმა იოლად აჯობა ლიტველს და ცენტრში პაიკებით გამაგრდა. ჩმილიტემ ქართველის გამაგრებულ პაიკებს შეუტია, ჩვენებურმაც მსუბუქი ფიგურების დასაცავად მძიმე არტილერიას უხმო. მოჭადრაკეები ფიგურების ხოცვას შეუდგნენ, შეტაკებებში ლიტველი მწარედ შეცდა, 33-ე სვლაზე ლაზიერი დაკარგა და ერთ სვლაში დანებდა მეტოქეს.

ესპანური პარტია გაითამაშეს არახამია-გრანტმა და მკრტჩიანმა. მეხუთე სვლაზე ქართველმა როქი გააკეთა და ლაზიერის წინ მდგარი პაიკი გაუშვა წინ. მოიერიშე პაიკმა სხვა თანამებრძოლებსაც გაუხსნა გზა. ისინიც ორივე მხრიდან დაიძრნენ მეტოქის ფლანგისკენ და დაფის უმეტეს ნაწილს დაეპატრონნენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად სომეხი მოჭადრაკე გაცვლებს შეუდგა. ორთაბრძოლაში ქეთევანი უკეთ გაისარჯა, მანევრები გააზრებულად განახორციელა და 43-ე სვლაზე ხარისხით დაწინაურდა. 49-ე სვლაზე ქართველი F ხაზიდან პაიკის გაყვანას შეუდგა. მის შესაკავებლად თეთრების ბანაკში შავი ეტლი შეიჭრა, თუმც თეთრმა ხელმწიფემ და ეტლმა მტერი გამსვლელ პაიკთან ახლოს არ მიუშვეს და 62-ე სვლაზე პარტია თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს.

წააგო ჩემპიონატის მეორე ნომერმა ნანა ძაგნიძემ. მან გერმანიის სახელით მოასპარეზე ქეთევან კახიან-გერშინსკასთან დათმო ქულა. მეტოქეებმა თავიდანვე ფიგურების გაცვლა დაიწყეს და რამდენიმე სვლაში ბრძოლის ველი მეომრებისგან საგრძნობლად გალარიბდა. C ხაზიდან ძაგნიძემ პაიკი გაუშვა ჩასათვლელი ხაზისკენ, თუმც ამ დროს შავების კუებმა თავი გამოიდეს, ნანას მოქმედების საშუალება არ მისცეს და 45-ე სვლაზე შამათი გამოუცხადეს.

**ლაშა გეგეჭკორი**



# სამი შიშველი გადარეული



**„შიშველი მაწანწალა“**, რომელიც უკვე 14-ჯერ დააპატიმრეს მთელს ბრიტანეთში თავისი ეპოქალური ქვეითი მოგზაურობისას, კვლავ გაუდგა გზას. და რა თქმა უნდა, იგი ისევ შიშველ-ტიტველია, ოღონდ ამჯერად მარტო აღარაა.

ახლა სტივ გაფი 46 წლისაა. თავის დროზე სამეფო საზღვაო ძალების ქვეითად მსახურობდა, ხოლო 2003-2004 წლებში მთელი ქვეყანა ალმა-დალმა ფეხით გადაკვეთა, რომლის დროსაც მის სამოსს მხოლოდ პანამა და მაღალყელიანი ფეხსაცმელი შეადგენდა, ზურგს კი ზურგჩანთა უფარავდა. ამის გამო ამ შიშველმა გადარეულმა ხალხში „შიშველი მაწანწალის“ სახელი დაიმკვიდრა. სიშიშვლის გამო ხელისუფალთაგან არაერთხელ ადმინისტრაციული სასჯელიც აიკიდა.

თავისი ბოლო მოგზაურობისას გაფი იძულებული გახდა „წანწალი“ ზამთარში დაესრულებინა, რაკი არაერთი დაპატიმრების გამო განრიგი აერია. ორიოდე დღის წინ სტივენმა კვლავ აიღო სტარტი სამყაროს დასასრულიდან, როგორც დიდი ბრიტანეთის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ დაბოლოებას უწოდებენ, რომელიც კორნუელის საგრაფოშია, ფინიში კი შოტლანდიის უკიდურეს ჩრდილოეთში, ოგროატში ექნება, როცა უკან მოიტოვებს 1 363 კილომეტრს. ამჯერად მოგზაურს აედევნა მისი დაქალი, 33 წლის მელანი რობერტსი და ამ დაქალის დაქალი, ბიბლიოთეკარი, რომლის სახელიც ჯერჯერობით უცნობია.

რა თქმა უნდა, ეს დაქალებიც შიშველ-ტიტვლები არიან.

მათი თავგადასავალი, „მაწანწალის“ სიტყვებით, „მთელი კაცობრიობის“ ზეიმი იქნება.

ამას გარდა, გაფი იმედოვნებს, რომ ეს მოგზაურობა შეცვლის საზოგადოების დამოკიდებულებას შიშველი სხეულისადმი, რომლის დემონსტრირებაც დღევანდელ ბრიტანეთში უკანონოდ ითვლება. მიუხედავად ამისა, „მაწანწალა“ და მისი შეგირდებიც მზად არიან მოსალოდნელი დაპატიმრებისთვის.

„ჩვენ ახლა სამნი ვართ. ასე რომ, არ ვიცი, რა და როგორ იქნება. როცა შენ მარტო არა ხარ, მაშინ პოლიცია უფრო მეტად გადევნებს თვალყურს, თუ რას აკეთებ და რას საქმიანობ“ — ამბობს ეს დაუდგრომელი მოგზაური ფრანს პრესის კორესპონდენტისადმი მიცემულ ინტერვიუში — რაც უფრო ახლოვდებოდა სტარტის დღე, მით უფრო [illegible]ვრს წერდნენ ჩვენზე. ასე რომ, ყველამ წინასწარ იცის, რაც ხდება. სხვა მხრივ, მე ახლა ფრიად ცნობილი კაცი ვარ, ხოლო ცნობილებსა და სახელგანთქმულებს მაინც სხვაგვარად ეპყრობიან.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



## F1

მეცხრე ეტაპი — აშშ-ის დიდი პრიზი

## მოტორ სპიდვეი

ინდიანაპოლისი, 19 ივნისი



ტრასის სიგრძე ---------------------------------- 4.192 კმ
რბოლის დისტანცია ------------------------ 73 წრე - 306.016 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 22 საათზე

**შარშან:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 სატო (BAR); 4 ტრული (რენო); 5 პანი (ტოიოტა); 6 რაიკონენი (მაკლარენი); 7 [illegible] (მაკლარენი); 8 ბაუმგარტნერი (მინარდი)

**წრის რეკორდი:** 2003 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:11.473 (211,კმ/სთ)

# ფერარიმ ხელი ჩაიქნია?

**აშშ-ის** დიდი პრიზის გათამაშება 2000 წელს, რვასეზონიანი პაუზის შემდეგ განახლდა. ფორმულა 1-ის ნორმების შესატყვისად მოდერნიზებულ ინდიანაპოლისის ლეგენდარულ ოვალზე ხუთიდან სამი რბოლა მიხაელ შუმახერმა მოიგო, ერთიც მისმა თანაფერარელმა რუბენს ბარიკელომ.

გარდა ამისა, შუმი-კელოს ანგარიშზე კიდევ ოთხი პოული და სამი უსწრაფესი წრეა. ამგვარი დომინირების მიუხედავად, სკუდერიელები ხვალინდელ რბოლაში უიმედოდ არიან — წლეულს მეტოქეებს სათანადო კონკურენციას ვერ ვუწევთ და ტოპგუნდობამდე ძალიან ბევრი გვაკლიაო.

„მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი დრო სულ მალე დაბრუნდება“ — ოპტიმიზმს არ კარგავს მიხაელი.

აქვე იმასაც ვიტყვით, რაც „ფერარის“ ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა ორიოდე დღის წინათ აღიარა, წლევანდელ ბოლიდში რადიკალური ცვლილება აღარ მოესწრება და აქცენტი უკვე საგაისო სამზადისზე გადავიტანეთო.

თითქმის ასწლოვანი „მოტორ სპიდვეი“ ხვალინდელ ეტაპს უფრო დაზღვეული ხვდება. [illegible] რჩანდელი რბოლის [illegible] რია შეემთხვა რალფ შუმახ[illegible] „უილიამსის“ საბურავი [illegible] გზააბნეული მანქანა [illegible] სკილომეტრიანი სიჩქარით [illegible] ნის ჯებირს მიეხეთქა [illegible] სრის მალების [illegible] რმანელმა პილოტმა [illegible] გამოტოვა.

იმ ინციდენტის შემდეგ [illegible] უსაფრთხოების [illegible] ნისძიებები ჩატარდა. [illegible] ლფის მოსახვევში“ [illegible] ვი ბარიერები ჩაა[illegible].

ხვალ ფავორიტად [illegible] ნა, კანადური რბოლის [illegible] ტორი კიმი რაიკონენი [illegible] რენი“) და არა ჩემპიონატ[illegible] დერი, რენოელი ფერნანდო [illegible] ნსო. ისე, ლიდ გულზე არიან [illegible] კვირის წინ მონრეალში [illegible] ცარულები — ბარიჩელო [illegible] ბატონი და რაიკონენის [illegible] ნიბე ხუან-პაბლო მონტოია. [illegible] ხუანმა ისიც თქვა, ერთ-ერთ [illegible] ლაში თუ წარმატებას [illegible] ღწევ, მერე უკვე [illegible] ვეხმარები კიმის ჩემპიონ[illegible] ბოლაშიო.

**გია ახალაძე**


ფერნანდო ალონსოს ამერიკელთა ყურადღება არ აკლია

# ასკოტის ქალბატონები



ასკოტის სამეფო დოღი წლეულს პირველად იმართება იორკში. ცხადია, დედოფალიც იქაა. ასკოტზე ტრადიციაა, ლუდის დღე. ეს დღე განსაკუთრებული ქუდებით სიარულის დღეა, თუმცა, წლეულს, ქალბატონებს აუწყვეტიათ და სამოსს საკარნავალო იერი მიუღია.








## დაცვა

გერმანიაში კონფედერაციის თასი მიმდინარეობს. კარგი ფეხბურთია და კარგი მაგარი დაცვაც ყოლია. მუშაობენ ბიჭები. სხვანაირად არც შეიძლება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, გოჩა ინასარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ლორჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლევან ხომერიკი, ვაჟა ჩუბინიშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლდიაშვილი, თამარ ჩხეიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიმლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე ჯელიაშვილი, რუსუდან ერისთავი, ეკა დევალიშვილი, მაგდა ლოგრიაშვილი, ზვიად მესხიშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი -- 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge